პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 26 ოქტომბერი, 1945 წ. № 212 (7427). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ელექტროენერგიის დაზოგვა დიდმნიშვნელოვანი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანა. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).
პ. მოსკატოვი — სოფლის ახალგაზრდობის მიღება საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში (მე-2 გვერდი).
პროპაგანდისტის დასახმარებლად — სოციალისტური სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემა (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება — პირველი ლონისძიებანი; ზრდიან აგიტატორთა რიგებს. (მე-3 გვერდი).
უხვი მოსავლის ოსტატები (მე-3 გვერდი).
საშემოდგომო ხვნა-თესვა: გარდატეხა არ მომხდარა (მე-3 გვერდი).
კამერული მუსიკის კონცერტზე (მე-4 გვერდი).
ილია დუზინსკი — სვანეთში (მე-3 გვერდი).
ნიკოლოზ ბარათაშვილის დღეები (მე-3 გვერდი).
საოქტომბრო საკოლმეურნეო ბაზრობა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

ელექტროენერგიის დაზოგვა დიდმნიშვნელოვანი საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანა

თანამედროვე ინდუსტრიის ნორმალური განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული ელექტროენერგიის წარმოების დონეზე. ენერგეტიკა სიცოცხლეს აძლევს მრეწველობასა და მთელ სახალხო მეურნეობას. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვით შექმნილი მძლავრი ენერგეტიკა საბჭოთა კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საფუძველი იყო.

გერმანელი ოკუპანტები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რათა მოესპოთ ჩვენი ქვეყნის ელექტრობაზა. მათ დაპყრობილ ტერიტორიებზე ააფეთქეს, დასწვეს და ნაწილობრივ დაანგრიეს სსრ კავშირის სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის 60-ზე მეტი დიდი ელექტროსადგური და დიდძალი მცირე სადგური 5 მილიონ კილოვატამდე საერთო სიმძლავრისა. ჰიტლერელებმა მოსპეს ელექტროსადგურთა 12 ათასი შენობა, მოიპარეს და გერმანიაში გაზიდეს 14 ათასი ორთქლის ქვაბი, 1.400 ტურბინი, 11.200 ელექტროგენერატორი. ჩვენს ხალხს უდიდესი მეცადინეობა დასჭირდა, რათა გადაელახა ოკუპანტების მიერ მიყენებული ზარალით წარმოშობილი სიძნელეები.

ჩვენი სახელმწიფო სამი გზით სწყვეტდა სახალხო მეურნეობის ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემას. პირველი გზა იყო ჩვენი ქვეყნის ზურგის რაიონებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა. მეორე გზა — მტრისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე ელექტროსადგურთა სწრაფი აღდგენა. და მესამე—ელექტროენერგიის უსასტიკესი დაზოგვა მთელ სახალხო მეურნეობასა და ყოფაცხოვრებაში.

ომის განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია ელექტროსადგურების აგებააღდგენასა და ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებაში. ამჟამად ჰიტლერელების მიერ დანგრეული თითქმის ყველა სადგური სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით მუშაობს. წელს ამუშავდა მძლავრი ტურბინები სტალინოგორსკის, რიბინსკის, ზუევკისა და სხვა ქალაქების ელექტროსადგურებზე. უახლოეს ხანში ტურბინები ამუშავდება დუბროვსკის (ლენინგრადის ოლქი), რაუხიალის (კარელიის ყელი) და კეგუმის (ლატვია) ელექტროსადგურებზე. ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული სიმძლავრეები გადიდდა. ზაფხულის თვეებში შესრულებულია დიდი სარემონტო სამუშაოები, რის მეოხებითაც ბევრი სადგური წარმატებით მოემზადა გამომუშავების გასადიდებლად შემოდგომა-ზამთრის თვეებში, როცა ელექტროენერგიის საჭიროება განსაკუთრებით დიდია.

მაგრამ, ელექტროსადგურების მუშაკთა სერიოზული მიღწევების მიუხედავად, ელექტროენერგიის მოთხოვნილება ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება მთლიანად. ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ძალიან სწრაფად მატულობს. თუ ომის დროს გვიხდებოდა მრეწველობის მთელი რიგი დარგების ელექტროენერგიით მომარაგების შეზღუდვა, ახლა იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი იყოს ყველა საწარმო. შეუძლებელია სწრაფად წავწიოთ წინ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ისე, რომ ნორმალურად არ მივაწოდოთ ელექტროენერგია მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და სხვა ქარხნებთან ერთად ჩვენს საფეიქრო, სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკებსაც. ამავე დროს უნდა გაუმჯობესდეს ელექტროენერგიით მოსახლეობის მომარაგება. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, რომ ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო შუქი არ ეძლეოდეთ საცხოვრებელ სახლებსა და კომუნალურ დაწესებულებებს.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მრავალნაირი საჭიროება ელექტროენერგიის მხრივ? სანიმუშო მდგომარეობაში უნდა ვიქონიოთ ელექტროსადგურების მთელი მეურნეობა და უახლოეს დღეებშივე მთლიანად დავამთავროთ ზამთრისათვის მათი მომზადება.

საჭიროა, რაც შეიძლება სწრაფად ავაგოთ ახალი სადგურები და აღვადგინოთ დანგრეული.

შემდეგ საჭიროა უაღრესად სასტიკი, უაღრესად მკაცრი ეკონომიის რეჟიმი დავამყაროთ. მშვიდობიან დროს ელექტროენერგიის დაზოგვა ომიანობის დროისაზე ნაკლებმნიშვნელოვანი როდია, ვინაიდან საწარმოთა ერთ ნაწილზე ელექტროენერგიის განიავება აუცილებლად იწვევს მთელი მრეწველობის მუშაობის გაუარესებას. ელექტროენერგიის განიავებას შეუძლია ხელი შეუშალოს ომის პრილობათა სწრაფ მოშუშებას, შეუძლია შეაფერხოს ჩვენი მუშაობა მშრომელთა ყოფაცხოვრებითი და კულტურული პირობების შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

შარშანაც და წელსაც მიღწეული იყო ერთგვარი წარმატება ელექტროენერგიის დაზოგვაში. შარშან სამრეწველო საწარმოებმა 760 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს (ნორმის მიმართ). ამა წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ეკონომია შეადგენს 335 მილიონ კილოვატსაათს. ეს ციფრები მოწმობენ გაწეული მუშაობის მნიშვნელოვნობას, მაგრამ უფრო მეტად იმას, თუ რაოდენ დიდია რეზერვები. შარშან ხომ მრეწველობაში საერთო ეკონომიის დროს 28 სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 149 მილიონი კილოვატსაათი ენერგია გადახარჯეს. წელსაც ეკონომიის ციფრი გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ბევრ საწარმოში რომ მნიშვნელოვანი გადახარჯვა არ მოეხდინათ, რომ ეკონომიის რეჟიმი ზოგიერთ არაშორსმჭვრეტელ სამეურნეო მუშაკს გარდამავალ საქმედ, თავისებურ „სეზონის მოდად“ არ მიეჩნია. განიავება, უყაირათობა, უდარდელობა, ტექნიკური კონსერვატიზმი, — სწორედ ეს წარმოშობს და თან ახლავს ელექტროენერგიის გადახარჯვას, — საბჭოთა სახელმწიფოში ეს შეუწყნარებელი მოვლენებია!

რამდენიმე თვის წინათ მთავრობამ აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის ეკონომიის ძირითადი რეზერვები, რასაც შეიცავს ტექნოლოგიური რეჟიმების რაციონალიზაცია და დაცვა, ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული. უკანასკნელი დროის ფაქტები კვლავ და კვლავ გვარწმუნებენ, რომ მრავალი საწარმოს სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელები დღემდე არ იყენებენ ეკონომიის ძირითად წყაროებს.

ავიღოთ, მაგალითად, ბერეზნიკის ქიმიური კომბინატი. ამა წლის ერთ კვარტალში მან გადახარჯა 2,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. აგვისტოში, ერთ თვეში, გადახარჯულია ერთი მილიონი კილოვატსაათი. მიზეზი? ტექნოლოგიის დარღვევა, მუშაობის არაეკონომიური რეჟიმი ძირითად საამქროებში. ტრიოხგორნაია მანუფაქტურამ ივლისაგვისტოში 77 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯა. მიზეზი? მოწყობილობის გაჭუჭყიანება და ცუდი დაზეთვა. დაზგები მეტ ენერგიას ხარჯავენ, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული. ზოგიერთ საწარმოში ელექტროენერგიას არარაციონალურად ხარჯავენ კიდევ იმის გამო, რომ სამხედრო პროდუქციის წარმოებიდან სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა ჭიანურდება. ასეთ საწარმოებში პროდუქციის გამოშვება ელექტროენერგიის ხარჯს არ შეესაბამება.

ელექტროენერგიის ფლანგვა იმის შედეგია, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ ომის დამთავრების შემდეგ რამდენადმე შეანელა ეკონომიისათვის ბრძოლა. ამავე დროს სახელმწიფო ინსპექტორების მხრივ ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების დაცვისადმი კონტროლი სრულიადაც არ არის საკმარისი.

ყოველ საწარმოს ამჟამად უნდა ჰქონდეს ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირების რეალური გეგმა. საჭიროა ენერგიის ხარჯვის ნორმები ძირითადი სახის პროდუქციებზე. ასეთი ნორმების დაწესება განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ ძალიან ბევრი საწარმო სცვლის თავისი წარმოების ხასიათს და ითვისებს ახალ სამოქალაქო პროდუქციას. ელექტროენერგიის, ისევე როგორც მასალის ხარჯვა, მარტო ენერგეტიკოსების საქმე კი არ არის, არამედ ტექნოლოგებისაც, წარმოების ტექნოლოგიის შემუშავების დროს ისეთი მეთოდები უნდა ავირჩიოთ, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შევამციროთ ენერგიის ხარჯი პროდუქციის ყოველ ერთეულზე.

ზოგან მიღწეული ელექტროენერგიის ეკონომია ვერავის ვერ დაამშვიდებს. ზაფხულში უფრო ადვილი იყო დაზოგვა. ახლა შემოდგომა დადგა, კარს მოგვდგომია ზამთარი, და მთავარი სიძნელეები წინ არის. მაშასადამე, სწორედ ახლა სამეურნეო ხელმძღვანელთა და პარტიული ორგანიზაციათა მთელი ძალ-ღონე უმთავრესად უნდა გამოყენებულ იქნას სიძნელეების დასაძლევად, ზამთარში მთელი მრეწველობის ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

უახლოეს კვირეებში სწყდება მრეწველობის მრავალი დარგის მიერ წლიური სახელმწიფო გეგმის შესრულების ბედი. მომავალ ზამთარში ჩვენმა მეურნეობამ დიდი გაქანებით უნდა იმუშაოს მეოთხე ხუთწლედში შესასვლელად. მაშასადამე, ენერგეტიკოსთა მუშაობა ამჟამად განსაკუთრებით პასუხსაგებია. ჩვენი ქვეყანა იმედოვნებს, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ ახალ ამოცანებს, ისევე როგორც მათ სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობა შეასრულეს ომის დროს.

„პრავდის“ 24/X მოწინავე

მარშალმა ჩოიბალსანმა სადილი გამართა ჩინეთის რესპუბლიკის წარმომადგენლის ლი ფა-ჯანის პატივსაცემად

ულან-ბატორი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ მარშალმა ჩოიბალსანმა სადილი გამართა ჩინეთის ნაციონალური მთავრობის მიერ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში პლებისციტის ჩატარების სამეთვალყურეოდ დანიშნული რწმუნებულის ლი ფა-ჯანის პატივსაცემად. სადილზე იყვნენ: ლი ფა-ჯანი და მისი თანმხლები პირები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მცირე ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბუმაცენდე, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. ივანოვი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრები და მონღოლეთის მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სადილის შემდეგ სტუმრებისათვის გაიმართა კონცერტი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა ძალებით.

გენერალ-ლეიტენანტ ნ. დ. ლაბაძის დაჯილდოება

მთავრობის სპეციალურ დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული არიან შინსახკომის ჯარების გენერლები, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობა. მათ შორის სუვოროვის II ხარისხის ორდენით დაჯილდოებულია გენერალ-ლეიტენანტი **ნესტორ დარისპანის-ძე ლაბაძე.**

ხაბაროვსკიდან ჩამოვიდა დემობილიზებული მეომრების ეშელონი

გუშინ, 25 ოქტომბერს, მოსკოვს იაროსლავლის ვაგზალზე ხაბაროვსკიდან ჩამოვიდა შორეული აღმოსავლეთის ფრონტების დემობილიზებული მეომრების ეშელონი. სულ ჩამოვიდა 1.100 მებრძოლი, მათ შორის 480 მოსკოველი. ყველას გულითადი შეხვედრა მოუწყეს.

დემობილიზებულ მეომრებს შეხვდნენ საკავშირო კ. პ. (ბ) სარკინიგზო რაიკომის მდივანი ამხ. ალიფანოვი, დედაქალაქის დაწესებულებათა და საწარმოთა წარმომადგენლები, რკინიგზელი მუშები, ნათესავები, მეგობრები. უკრავს ორკესტრი, გმირი მეომრები ვაგონებიდან გადმოდიან. ყოველი მხრიდან მოისმის მისალმების შეძახილები.

ჩამოსულ მოსკოველებს დაახვედრეს ტრამვაი და ავტობუსები, რომლებითაც ისინი თავიანთ სახლებში წავიდნენ. დანარჩენები ორგანიზებული წესით გაისტუმრეს მოსკოვის სხვა ვაგზლებზე სამშობლო ქალაქებსა და სოფლებში გასამგზავრებლად. (საკდესი).

გამოცემულია ბროშურა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოსცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი. ბროშურაში მოთავსებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რატიფიკაციის შესახებ.

ბროშურის ტირაჟია 50 ათასი ეგზემპლარი. (საკდესი).

გამოჩენილი რუსი მეცნიერი-მეტყევე

25 ოქტომბერს მოსკოვს მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა რუსული სატყეო მეცნიერების კლასიკოს გ. ფ. მოროზოვის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოაწყეს სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო საინჟინრო-ტექნიკურმა საზოგადოებამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეტყევეობის ინსტიტუტმა.

გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნის პატივსაცემად თავი მოიყარეს 300-მდე აკადემიკოსმა, პროფესორმა, მეცნიერმა მუშაკმა და სატყეო მეურნეობის პრაქტიკოსმა, ბოტანიკოსმა, ნიადაგთმცოდნემ, ზოოლოგმა და ლენინგრადის, სვერდლოვსკის, სარატოვის, არხანგელსკისა და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.

მოხსენებით „გ. ფ. მოროზოვი — რუსული სატყეო მეცნიერების კლასიკოსი“ გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ვ. ნ. სუკაჩევი. მან მოროზოვი დაახასიათა როგორც რუსული სატყეო მეცნიერების კორიფეი და ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი გეოლოგიის, ბოტანიკის, ნიადაგთმცოდნეობისა და გეოგრაფიის დარგში, რომელმაც რუსეთში პირველმა შექმნა მთლიანი მოძღვრება ტყის შესახებ.

რუსმა მეტყევემ მეცნიერულად დაასაბუთა ტყის ცხოვრებისა და განვითარების პირობები და კანონზომიერება გარემოს — ჰავის, ნიადაგის განსაკუთრებული თვისებების, ცხოველთა სამყაროსა და სხვათა გავლენისაგან დამოკიდებით, აგრეთვე თვითონ ტყის გავლენა მის გარემოზე.

თავისი სიცოცხლის მანძილზე გ. ფ. მოროზოვმა შექმნა 315 მეცნიერული ნაშრომი. მისი წიგნი „მოძღვრება ტყის შესახებ“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ევროპისა და ამერიკის მეტყევეთა შორის.

მოგონებებით გამოჩენილი რუსი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდნენ მისი უახლოესი მეგობრები და მოწაფეები — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მ. ე. ტკაჩენკო, მოროზოვის ქალიშვილი ლ. გ. მოროზოვა-ტუროვა და სხვები. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთის კომუნისტური პარტიის კონფერენცია

ბუქარესტი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). ამ დღეებში დამთავრდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში, მიიღო პარტიის წესდება და აირჩია ცენტრალური კომიტეტი 27 წევრისა და 8 კანდიდატის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სხდომაზე არჩეულია პოლიტიკური ბიურო, რომელშიც შევიდნენ გეორგიუ დეჟი, ანა პაუკერი, ვ. ლუკა, ტეოხარი ჟორჟესკუ, კივუ სტოიკა, გ. ვასილიკი, მირონ კონსტანტინესკუ. ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან გეორგიუ დეჟი, ანა პაუკერი, ვ. ლუკა და ტეოხარი ჟორჟესკუ.

ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა

პრაღა, 25 ოქტომბერი. (საკდესი) ამ დღეებში პრაღაში დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 1.028 დელეგატმა და 503 სტუმარმა, მათ შორის საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა 16 კაცმა.

ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელობა. პარტიის ახალი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება 49 წევრისა და ამდენივე კანდიდატისაგან. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია პრემიერ-მინისტრი ზდენეკ ფირლინგერი. მის მოადგილეებად: მინისტრი ლაუშმანი, დეპუტატი იუნგვირტოვა და დეპუტატი ტიმეში.

ყრილობამ დაადგინა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დაერქვას „ჩეხოსლოვაკიის სოციალური დემოკრატია“.

გაერთიანებული ერების წესდება ძალაში შევიდა

ვაშინგტონი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს 1 საათსა და 45 წუთზე გრინვიჩის დროით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა ხელი მოაწერა ოქმს, რომელშიც გამოცხადებულია, რომ გაერთიანებული ერების წესდება ძალაში შევიდა. სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ცერემონიაზე, რომელსაც მრავალრიცხოვანი ფოტორეპორტიორები იღებდნენ, ბირნსმა წაიკითხა მოკლე განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„დღეს საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელმა სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა საბჭოთა მთავრობის დოკუმენტი, რომლითაც რატიფიცირებულია გაერთიანებული ერების წესდება. 29 ქვეყანამ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, ჩინეთმა, საფრანგეთმა, სსრ კავშირმა და შეერთებულმა სამეფომ, უკვე წარმოადგინა თავისი სარატიფიკაციო სიგელები. გაერთიანებული ერების წესდება ამჟამად ერების კანონის ნაწილი გახდა. ეს სამახსოვრო დღეა ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხებისათვის. როგორც მე არაერთხელ მითქვამს, მშვიდობიანობის დაცვა დამოკიდებულია არა რომელიმე დოკუმენტზე, არამედ ადამიანთა აზრებსა და გრძნობებზე. მაგრამ მსოფლიოს ხალხები, რომლებსაც მშვიდობიანობა სწყურიათ, უნდა დაირაზმონ იმისათვის, რათა დაიცვან ეს მშვიდობიანობა. ეს წესდება ორგანიზაციას ითვალისწინებს. მომავალ დღეებში ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელია, სხვა გაერთიანებულ ერებთან თანამშრომლობით, რათა შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა და ხელი შევუწყოთ ყველა ხალხის კეთილდღეობას. ამჟამად მე ბედნიერება და პრივილეგია მაქვს ხელი მოვაწერო ოქმს, რომელიც, თანახმად გაერთიანებული ერების წესდების 110 მუხლისა, დაადასტურებს წესდების ძალაში შესვლის ფაქტს“.

არჩევნების შედეგები ლუქსემბურგში

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება ლუქსემბურგის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგებს: ქრისტიანულმა — სოციალისტურმა პარტიამ (კონსერვატორები) მიიღო 24 ადგილი, ომამდე კი ჰქონდა 25 ადგილი; სოციალისტურმა პარტიამ — 12 ადგილი, ჰქონდა 18; პატრიოტმა დემოკრატებმა — 8, ჰქონდათ 0; კომუნისტებმა — 5, ჰქონდათ 0; დამოუკიდებელმა დემოკრატებმა — 2, ჰქონდათ 6 ადგილი. კომუნისტები პირველად არიან წარმოდგენილნი ლუქსემბურგის პარლამენტში.

ლუქსემბურგის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრმა პიერ დიუპონმა ოფიციალურად წარადგინა თავისი კაბინეტის გადადგომა 21 ოქტომბერს შემდგარი არჩევნების დამთავრებასთან დაკავშირებით.

ირანის ახალი პრემიერ-მინისტრი

თეირანი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ სალამოს მეჯლისის დახურულ სხდომაზე ფარული კენჭისყრით მიღებულ იქნა წინადადება პრემიერ-მინისტრად დაინიშნოს ჰაკიმი.

ინგლისის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საპარლამენტო მდივნის განცხადება

ლონდონი. 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა აივორ ტომასმა თემთა პალატაში მიცემული შეკითხვის პასუხად განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არ შეუძლია მისცეს შეერთებულ შტატებს უფლება „მე-5 თავისუფლებისა“ ამერიკის ავიახაზებისათვის იმავე პირობებით, რომლებითაც ეს უფლება ნოს მთავრობამ ეირეს მიანიჭა. „განუსაზღვრელ უფლებათა მინიჭება, — სთქვა ტომასმა, — არ შეესაბამება ავიატრანსპორტის განვითარების მოწესრიგების პოლიტიკას, რომელსაც მისი უდიდებულესობის მთავრობა მისდევს“.

„სამხრეთ-სლავური წარმოშობის ამერიკელთა გაერთიანებული კომიტეტის“ ყრილობა

კლივლენდი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). აქ შესდგა „სამხრეთ-სლავური წარმოშობის ამერიკელთა გაერთიანებული კომიტეტის“ ყოველწლიური ყრილობა. დაესწრო რამდენიმე ასეული დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ სამხრეთ-სლავური წარმოშობის ერთ მილიონზე მეტ ამერიკელს. კომიტეტის თავმჯდომარემ ზალაკოვიჩმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ბალკანეთის მიმართ.

დელეგატებმა პრეზიდენტ ტრუმენს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც, ეხებიან რა იუგოსლავიაში არსებულ მდგომარეობას, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ტიტო არის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გონიერი და დიდებითი ახალი სახალხო ლიდერი, რომელიც ისწრაფვის მდგომარეობის სტაბილიზაციისაკენ იუგოსლავიაში, აგრეთვე მთელ ევროპაშიც“.

ყრილობამ მარშალ ტიტოს მიმართა მისალმებით. „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ,—ნათქვამია მისალმებაში,—რომ მომავალი არჩევნების განმავლობაში იუგოსლაველი ხალხი ნდობას გამოუცხადებს მათ, ვინც ყველაზე უკეთ იბრძოდა იუგოსლავიის პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური განთავისუფლებისათვის“.

საბჭოთა კავშირში

ნაწარმოებთა შერჩევა სრულიად საკავშირო მხატვრული გამოფენისათვის

მოსკოვში კვლავ იღებენ სურათებს, სკულპტურასა და გრაფიკულ ნამუშევარს, რომლებიც შერჩეულია ადგილებზე 1945 წლის სრულიად საკავშირო დიდი მხატვრული გამოფენისათვის, რაც მოსკოვში გაიხსნება. შესდგა საგამოფენო კომიტეტის მეორე სხდომა, რომელზეც განიხილეს 100-ზე მეტი სურათი, 200 გრაფიკული ნაწარმოები და 10 ქანდაკება, შექმნილი მოსკოველი, ლენინგრადელი, ლატვიელი, კარელია-ფინელი და ყირიმელი ოსტატების მიერ.

ლატვიელი მხატვრების მიერ წარმოდგენილი 42 სურათიდან კომიტეტმა შესაძლებლად ჩასთვალა მიღებულ იქნას დაახლოებით 30 სურათი. შერჩეულია სტალინური პრემიის ლაურეატ მხატვარ ვ. ეფანოვის რამდენიმე ნამუშევარი, მათ შორის — დიდი სურათი „სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი ავადმყოფ გორკისთან“. მიღებულია ნ. რომადინის სურათების სერია „ვოლგა — რუსული მდინარე“ და გ. შეგალის „შუა რუსეთის პეიზაჟები“.

მოსკოველ მხატვართა სხვა ნაწარმოებთაგან კომიტეტმა შეარჩია ე. კაცმანის დიდი სურათი „მტრის ზურგში“ და მისი კომპოზიცია „დედა“.

გრაფიკოსმა კ. ფინოგენოვმა წარმოადგინა ნახატების ორი სერია „სტალინგრადელი გვარდია ბერლინში“ და „დამარცხებული ბერლინი“. პ. ვასილიევმა შეასრულა გრაფიკულ ნამუშევართა ახალი სერია „ვ. ი. ლენინი“. ფინოგენოვისა და ვასილიევის ნაწარმოებნი აგრეთვე შერჩეულია გამოფენისათვის.

დედაქალაქში მოიღია თურქმენ ოსტატთა ნამუშევარი. მახლობელ დღეებში მოელიან აზერბაიჯანისა და ესტონეთის სსრ მხატვრების ნაწარმოებთ. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის ქალაქები. სურათზე: ენგელსის პროსპექტი დონის-როსტოვში.
ფოტო ვ. ელაგინისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

ბელორუსიაში პარტიზანული მოძრაობის ისტორია

მინსკი, 21 ოქტომბერი, (საკდესი). დიდ მუშაობას ეწევა ბელორუსიაში დიდი სამამულო ომის ისტორიის შემსწავლელი კომისია. შეგროვებულია 18 ათასზე მეტი ექსპონატი და დოკუმენტი და 10 ათასამდე ფოტოსურათი. შერჩეულია ბელორუსიაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამოსული პარტიზანული და არალეგალური გაზეთების 152 კომპლექტი. ხდება სისტემაში მოყვანა და განზოგადება მტრის ზურგში პარტიული მუშაობის შესახები მასალებისა. დამთავრდა ვიტებსკის, გომელის, მოგილიოვის, გროდნოს და სხვა ოლქების პარტიზანული მოძრაობის შესახები მასალის შერჩევა.

მზადდება დოკუმენტალური კრებულები: „ბრძოლა ბელორუსიისათვის“, „მინსკის არალეგალობაში“, ბელორუს პარტიზანთა ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები. სახალხო შურისმგებელთა გმირობის შესახებ.

ამ მასალების უმეტესობა გადაეცა დიდი სამამულო ომის ისტორიის ბელორუსიის სახელმწიფო მუზეუმს.

ფართოვდება სახურავი მასალების წარმოება

სსრ კავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი აფართოებს რულონური სახურავი მასალების: რუბეროიდის, პერგამინის, ტოლისა და ტოლეტყავის წარმოებას.

აღდგენილია და ნაწილობრივ საექსპლოატაციოდ გადაეცა ოდესის რუბეროიდისა და სლავიანსკის ტოლის ქარხნები. მთავრდება სამონტაჟო სამუშაოები ქარხანა „მოსკვატოლის“ მეორე რიგში. აქ ეწყობა სპეციალური სამქრო ჰიდროსაიზოლაციო მასალის—ბიტულინის დასამზადებლად. ამ საწარმოს აღდგენილი საამქროები თვეში უკვე ამზადებენ მილიონამდე კვადრატულ მეტრ სახურავს.

მწყობრში ჩადგა ლენინგრადის რუბეროიდის ქარხანა, რომელიც უდიდესია ჩვენს ქვეყანაში და რომლის მოწყობილობაც ომის დროს ევაკუირებული იყო აღმოსავლეთში. მშვიდობიან დროს ქარხანა ყოველწლიურად უშვებდა 37 მილიონ კვადრატულ მეტრ რუბეროიდს, პერგამინსა და სახურავ ტოლს. ამჟამად ქარხანას კვლავ წინანდელი საწარმოო სიმძლავრე აქვს. ამუშავდა აგრეთვე აღდგენილი ქარხანა „კარტონტოლი“.

ამავე დროს დიდი მუშაობა სწარმოებს მთელ რიგ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის.

სარატოვში დაიწყო კოტეჯებისა და მასობრივი მშენებლობის საცხოვრებელი სახლების სახურავად და მოსაპირკეთებლად საჭირო აზბესტბიტუმის ფილების დიდი კომბინატის მშენებლობა.

დიდი ყურადღება ექცევა უფრო სრულყოფილი სახის სახურავის წარმოებას. მაგალითად, კუიბიშევის რუბეროიდის ქარხანაში მოეწყობა შემავსებლიანი რუბეროიდის წარმოება. ასეთი მასალით დაფარული სახურავი თხუთმეტ წელიწადს გასძლებს. (საკდესი).

სოფლის ახალგაზრდობის მიღება საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში

როგორც ცნობილია, სახელმწიფო შრომითი რეზერვების საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში ახალგაზრდობის მიღება წელს ორ ვადად ხდება. 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე სწარმოებდა ქალაქის ახალგაზრდობის მიღება, ხოლო 15 ოქტომბრიდან ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობს სოფლის ახალგაზრდობის მიღება.

შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოში არსებული ცნობებით, მეტმა წილმა ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა დროულად შეასრულეს მთავრობის დავალება სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ქალაქის ახალგაზრდობის გაწვევის შესახებ. მწყობრად და ორგანიზებულად ჩატარდა მუშაობა მოსწავლეთა ახალი კონტინგენტების მისაღებად და მოსათავსებლად ივანოვოს, მოსკოვის, ლენინგრადის, სმოლენსკის, დნეპროპეტროვსკის, ოდესისა და მთელ რიგ სხვა ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. ვოლოგდისა და ვორონეჟის ოლქები თავიანთ სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში ახალგაზრდობის მიღების გეგმის წარმატებით შესრულებასთან ერთად კარგად ასრულებენ დავალებებს ლენინგრადისათვის ახალგაზრდობის შესარჩევად და გასაგზავნად.

ყველა ამ ოლქში ალმასკომებმა და შრომითი რეზერვების სამმართველოებმა, სკოლებმა და სასწავლებლებმა მოაწყეს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რამაც ხელი შეუწყო ჭაბუკებისა და ქალიშვილებისაგან განცხადებათა შემოტანის ზრდას.

არასრული ცნობებით, ნებაყოფლობითი წესით უკვე მიღებულია 86 ათასი კაცი.

ალტაის მხარემ და სომხეთის სს რესპუბლიკამ, რომლებიც გაწვევის დასაწყისში ჩამორჩენილი იყვნენ, მუშაობა გამოასწორეს და 15 ოქტომბრისათვის უზრუნველჰყვეს საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში ქალაქის ახალგაზრდობის დაწესებული რაოდენობის მიღება.

მაგრამ მთლიანად ჩვენს ქვეყანაში ქალაქის ახალგაზრდობის გაწვევის გეგმა ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში ქალაქის ახალგაზრდობის მიღების დარგში სახელმწიფო დავალების შეუსრულებლობა იმით აიხსნება, რომ ცალკეულ ალმასკომთა და რესპუბლიკათა, ოლქთა და მხარეთა შრომითი რეზერვების სამმართველოების ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ უთმობენ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს.

ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკასა და ხაბაროვსკის მხარეში როგორც ქალაქის ახალგაზრდობის გაწვევის დასაწყისში, ისე ამჟამადაც, როდესაც მისი ვადა უკვე გასულია, საქმე მეტად ცუდად მიმდინარეობს. დავალება დღემდე არ არის შესრულებული საქართველოს, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებში, სარატოვის ოლქსა და უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში.

ჩკალოვის ოლქში გაწვევა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მიღებულია გეგმის მხოლოდ 10 პროცენტი, ხოლო სასწავლებლებში—50 პროცენტზე ნაკლები.

პენზის ოლქში დავალება შესრულებულია 60 პროცენტზე ცოტა მეტით. ასეთი ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ მთელი რიგი რაიალმასკომების თავმჯდომარეები, რომლებიც ფორმალურად უდგანან სათავეში გამწვევ კომისიებს, არსებითად არ მუშაობენ იქ და გაწვევას ყურადღებას არ აქცევენ.

ქალაქის ახალგაზრდობიდან საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში მიღება უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს.

სოფლის ახალგაზრდობიდან მოსწავლეთა გაწვევამ, რაც 15 ოქტომბერს დაიწყო, თითქმის ერთიორად მეტი მოსწავლე უნდა მოგვცეს, ვიდრე ქალაქებში გაწვევამ. 15 ნოემბრამდე საჭიროა მიღებულ იქნას 295 ათასი მოსწავლე, მათ შორის 240 ათასი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში.

მუშაობის ეს ნაწილი გაცილებით უფრო რთულია, ვინაიდან საჭიროა უზრუნველვყოთ ზუსტი ხელმძღვანელობა დიდძალი სასოფლო გამწვევი კომისიების მუშაობისადმი, რომელთაგან ბევრნი ასეულ კილომეტრებით არიან დაშორებულნი საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ცენტრებს. ამასთან ერთად, უნდა შევძლოთ დროულად მივიყვანოთ ახალგაზრდობა სკოლებსა და სასწავლებლებში.

განსაკუთრებული ყურადღება იქნება საჭირო იმ ახალგაზრდობის გადაყვანის მოსაწყობად, რომელიც მიღებული იქნება სოფელ ადგილებში ჩვენი ქვეყნის უდიდესი სამრეწველო ცენტრების — ლენინგრადის, მოსკოვის, ჩელიაბინსკის, ყარაგანდის, სტალინოს, ვოროშილოვგრადის, დნეპროპეტროვსკის ოლქების საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა და სასწავლებლებისათვის.

სასოფლო რაიონების გამწვევ კომისიებში აუცილებლად უნდა ჩატარდეს ჩასარიცხავთა სამედიცინო შემოწმება იმ მიზნით, რომ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში იგზავნებოდეს ჯანსაღი, ფიზიკური შრომის შემძლე ახალგაზრდობა.

მომავალი სიცივეების გათვალისწინებით, საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში გაწვეული ახალგაზრდობა გაწვევის რაიონებში მოამარაგონ ტანისამოსით, ფეხსაცმლით, თეთრეულითა და საგზლით. ადგილებზე დროულად უნდა გაფორმდეს თითოეული გაწვეულის დოკუმენტები—პასპორტი, მეტრიკული მოწმობა ან დროებითი მოწმობა.

ეჭვს გარეშეა, რომ სახელმწიფო შრომითი რეზერვების საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებსა და სკოლებში ნახევარი მილიონი მოსწავლის გაწვევის ეს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა შესრულებული იქნება, ვინაიდან ამაზე არსებითად არის დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაობის შემდგომი გაშლა. ამაზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული როგორც ჰიტლერელთა შემოსევისაგან დაზარალებული ქალაქებისა და საწარმოების აღდგენის ამოცანის, ისე მთლიანად საბჭოთა ქვეყნის შემდგომი სამეურნეო განვითარების ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა.

პ. მოსკატოვი

ბორჯომის საავეჯო ფაბრიკის ამჭრელი საამქროს სტახანოველი ქსენია ტატაშვილი, რომელიც დღეგამას 200-300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. [illegible]

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

საზამთრო პასპორტი ყოველ ორთქლმავალს

საორთქლმავლო მეურნეობის თბილისის განყოფილების კოლექტივმა სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების ერთ-ერთ პირობად ზამთრისათვის საორთქლმავლო მეურნეობის სანიმუშოდ მომზადება დასახა. ამ ვალდებულების შესასრულებლად აქ ბევრი რამ უკვე გაკეთდა: დაამთავრეს ელექტროდასადგართა დაბალვოლტიანი ქსელის კაპიტალური რემონტი, შეამოწმეს საჰაერო მილების ტექნიკური მდგომარეობა, გამართეს მოსაბრუნებელი წრეები ყველა ორთქლმავალზე, დაამთავრეს წყალსაქაჩების რემონტი და სხვ. 15 ოქტომბრისათვის ნაცვლად 42 ორთქლმავლისა გამაჯანსაღებელი რემონტიდან გამოუშვეს 48. მათ შორის 30 ორთქლმავალი დათბუნებული და საბოლოოდ გამართულია ზამთრის პირობებში სამუშაოდ.

საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები აქვს თბილისის საორთქლმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროს (უფროსი შ. ხიზანაშვილი), რომელმაც ყველაზე მეტი ორთქლმავალი დათბუნა და შეაკეთა.

დაწინაურდა აგრეთვე საორთქლმავლო მეურნეობის სამშენებლო ნაწილის კოლექტივი (უფროსი ვ. ნავროზაშვილი). შინაგანი რესურსების გამონახვით აქ შექმნეს სამშენებლო მასალათა საკმაო ფონდი საორთქლმავლო მეურნეობის შენობათა დაზიანებული სახურავების, კარ-ფანჯრების, ჭერისა და იატაკის შესაკეთებლად. ეს სამუშაოები ახლა უკვე დამთავრებულია.

ბევრი მეორთქლმავლე შეჯიბრებაში ჩაბმისთანავე შეუდგა ორთქლმავლის საზამთროდ გამზადებისათვის დამოუკიდებლად მუშაობას. მემანქანე ქ. სვანიძემ, მაგალითად, თვითონ დათბუნა და ზამთრისათვის მოამზადა ორთქლმავალი.

წყალმომარაგების ოსტატებმა ს. ბუჯიაშვილმა, ა. პაპიაშვილმა, მ. ჩხენკელმა და ელექტროშემომხვევმა რ. ბელოკონევამ ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს იმუშავეს და ზამთრისათვის გაამზადეს წყალსაქაჩები, ჰიდრანტები, ელექტროქვესადგურთა შენობები და წყალგამანაწილებელი ქსელი.

მაგრამ საორთქლმავლო მეურნეობის თბილისის განყოფილების კოლექტივს ზამთრისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვს გასაკეთებელი: თბილისის საორთქლმავლო დეპოს გარეცხვითი საამქროს სარკმლებში მინებია ჩასასმელი. უნდა დაჩქარდეს ყველა ორთქლმავლის დათბუნება და საქმე ისე მოეწყოს, რომ 7 ნოემბრისათვის ყველა ორთქლმავალს ჰქონდეს ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტი.

შ. ჭოჭუა

საფეიქრო საწარმოების აღდგენა

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი აწარმოებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დაზარალებული საფეიქრო საწარმოებისა და აგრეთვე იმ ფაბრიკების აღდგენას, რომელთა მოწყობილობა ომის დროს ევაკუირებული იყო.

რეევაკუირებულ მოწყობილობას სდგამენ ვიშნევოლოცკის ბამბეულის კომბინატში. აქ უკვე ამუშავებულია 5.500 თითისტარი, მიმდინარეობს სერპუხოვის მთელი რიგი საწარმოების რეევაკუაცია და აღდგენა. ზანარსკის ფაბრიკაში უკვე მუშაობს 9 ათასამდე თითისტარი, ფაბრიკა „კრასნი ტექსტილშჩიკში"—1.120.

ნაწილობრივ გადაცემულია საექსპლოატაციოდ ორშანსკის სელის კომბინატი.

კრენგოლმის მანუფაქტურაში (ესტონეთის სსრ) მუშაობს 21 ათასი თითისტარი, ხოლო 1946 წლის 1 იანვრისათვის დამატებით უნდა ამუშავდეს 37 ათასი თითისტარი.

სულ მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში საფეიქრო მრეწველობის აღდგენილ საწარმოებში ამუშავებულია 63.500 თითისტარი.

დამთავრდა კლინცის თბოელექტროცენტრალის აღდგენა, რომელიც ელექტროენერგიით მოამარაგებს მაუდის სამ ფაბრიკას, ქირელისა და სუკნის ფაბრიკას და სხვა საწარმოებს. („იზვესტია").

ასე ზრუნავენ ომგადახდილებისათვის

ბოლნისის რაიონში მრავალი ომგადახდილი ჩამოვიდა. მათი სამუშაოზე მოწყობის საქმე კარგად არის დაყენებული. სოფელ ბალიჭის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას 9 ვაჟკაცი დაუბრუნდა. მოკლე ხანში ყველა ისინი მოაწყეს შესაფერის სამუშაოზე.

ამხ. ოსეფაშვილი წითელ არმიაში წასვლამდე ამ კოლმეურნეობის რიგითი წევრი იყო. ფრონტზე მან თავი ისახელა, რისთვისაც სამი ორდენი მიიღო. შინ დაბრუნებულს კოლმეურნეობის ერთ-ერთი ბრიგადა ჩააბარეს. ბრიგადირი დიდი მონდომებით შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას. მისმა ბრიგადამ კოლმეურნეობაში ყველაზე ადრე დაამთავრა სიმინდის აღება, საშემოდგომო ხვნა და ამჟამად ჩქარი ტემპით აწარმოებს თესვას.

სოფელ ბოლნის-ხაჩინის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობას 12 ომგადახდილი დაუბრუნდა. მათ სურვილი გამოსთქვეს ერთ რგოლში ემუშავნათ. კოლმეურნეობის გამგეობამ შექმნა ახალი რგოლი. დემობილიზებულნი თავდადებით მუშაობენ. ყველანი დღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებენ.

კარგად მუშაობს მეწაღეთა სახელოსნოს გამგე ორდენოსანი მ. მალრაძეც, რომელიც ომამდე მეწაღე იყო.

დემობილიზებულებისათვის დახმარების გაწევის საქმე კარგად მოაწყეს სოფელ კოჩულოს 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. მ. ნაზიევი). აქ 6 დემობილიზებულს ერთ ტონაზე მეტი მარცვლეული მისცეს დახმარების სახით და საცხოვრებელი ბინებიც შეუკეთეს.

დაბა ბოლნისის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ი. ციკოლია) თვითეულ დემობილიზებულს 50 კილოგრამი ხორბალი და სხვა პროდუქტები დაურიგა.

კარგად ეხმარებიან დემობილიზებულებს წითელი სოფლის ცხაკაიას სახელობის, სოფელ ფახრალოს ჩარქვიანის, ბუდიონის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში.

ა. ხერგია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

10 ათასი ბიბლიოთეკა

24 ოქტომბერს მოსკოვში დამთავრდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საოლქო განყოფილებათა საბიბლიოთეკო სექტორების უფროსების და საბიბლიოთეკო მუშაობის საოლქო მეთოდური კაბინეტების გამგეთა თათბირი. დაესწრნენ: ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის და მოსკოვის, კურსკის, ორიოლის, სმოლენსკის, ვორონეჟის, ნოვგოროდის, ვოლოგდის, მურმანსკისა და სხვა ოლქების წარმომადგენლები.

როგორც რსფსრ სახკომსაბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ბიბლიოთეკების სამმართველოს უფროსმა ამხ. უსოვმა თავის მოხსენებაში სთქვა, მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელმა ამჟამად თითქმის მიაღწია ომამდელ დონეს. კომიტეტის სისტემაში უკვე ითვლება 10 სახელმწიფო საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, 60 საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური, 14 საოკრუგო, 767 საქალაქო, 2.314 რაიონული, 6.047 სასოფლო და 622 საბავშვო ბიბლიოთეკა. საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტის მიხედვით რუსეთის სფს რესპუბლიკაში დასახულია წიგნის ფონდი რაიონულ ბიბლიოთეკებში აყვანილ იქნას 10 ათას წიგნამდე, საქალაქო ბიბლიოთეკებში — 20 ათასამდე, სასოფლო ბიბლიოთეკებში—3 ათასამდე და საბავშვო ბიბლიოთეკებში 15 ათასამდე თვითეულ ბიბლიოთეკაში. მახლობელი დროის ამოცანაა რაიონული ბიბლიოთეკების ქსელის აღდგენა და განმტკიცება.

თათბირმა განიხილა აგრეთვე საკითხები ბიბლიოთეკების მუშაობისა მკითხველთა თვითგანვითარების დასახმარებლად. თათბირის მონაწილეებისათვის მოწყობილ იქნა კონსულტაცია საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ბიბლიოთეკებში მუშაობის შესახებ.

პროპაგანდისტის დასახმარებლად

სოციალისტური სახელმწიფოს საბიუჯეტო სისტემა

საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებასთან ერთად ჩვენში შეიქმნა ახალი საფინანსო სისტემა. საბჭოთა ფინანსები სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრების იმ მხარეს წარმოადგენს, რომლის საშუალებით სახელმწიფო ორგანოები და აგრეთვე კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ საჭირო ფულადი რესურსების გეგმიან დაგროვებასა და მათს გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის.

საბჭოთა საფინანსო სისტემა აგებულია სსრ კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძვლებზე. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ხოლო მის ეკონომიურ საფუძველს—მეურნეობის სოციალისტური სისტემა, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. სწორედ ეს განსაზღვრავს ჩვენი სახელმწიფოს საფინანსო სისტემის შინაარსსა და აგებულებას.

სსრ კავშირის საფინანსო სისტემაში წამყვანი როლი ბიუჯეტს ეკუთვნის.

სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი ძირეულად განსხვავდება ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ბიუჯეტებისაგან, რომელნიც კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასობრივი ბატონობის ერთ-ერთ იარაღად არიან ქცეულნი. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ბიუჯეტი, ისე როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარება, არ ემორჩილება გეგმიანი ხელმძღვანელობის პრინციპს და, მაშასადამე, ბიუჯეტიც ამ შემთხვევაში არ გვევლინება როგორც საფინანსო მეურნეობის წარმართვის გეგმა.

სოციალისტური სახელმწიფო გეგმიანად ხელმძღვანელობს ეკონომიურ განვითარებას მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, ის ასრულებს უაღრესად მნიშვნელოვან სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობას. ამასთან დაკავშირებით იცვლება აგრეთვე ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის შინაარსი და აგებულება.

რას წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი?

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი არის ძირითადი საფინანსო ოპერატიული გეგმა სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებაში მყოფი წლიური შემოსავლებისა და ხარჯებისა, რომელიც კანონის სახით მტკიცდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ.

სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტის დახასიათების დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მისი უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. რამდენადაც თვით სახელმწიფო უშუალოდ ახორციელებს მეურნეობის წარმართვის ფუნქციას, სრულიად ბუნებრივია, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ხდება მთელი სახალხო მეურნეობის ბიუჯეტად" (საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამიდან). ამავე დროს ჩვენში ბიუჯეტი წარმოადგენს არა შემოსავალ-გასავლის პროგნოზს მომავალი წლისათვის, არამედ წამყვან საფინანსო გეგმას დაგეგმვის მთლიან სისტემაში. „ჩვენი გეგმები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — არიან არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-გამოსაცნობნი, არამედ გეგმები — **დირექტივები**, რომელნიც **სავალდებულოა** ხელმძღვანელი ორგანოებისათვის და რომელნიც **განსაზღვრავენ** ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას **მომავალში მთელი** ქვეყნის მასშტაბით". სწორედ ასეთი გეგმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ბიუჯეტი.

ჩვენ ვსთქვით, რომ საბიუჯეტო გეგმას სათანადო საკანონმდებლო აქტით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო. ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცების, შესრულებისა და კონტროლის წესები იმთავითვე მკაცრად რეგლამენტირებულია საბიუჯეტო კანონმდებლობით.

საბიუჯეტო წყობის საფუძვლები განისაზღვრება სსრ კავშირის კონსტიტუციით (ძირითადი კანონით). სტალინური კონსტიტუცია აწესებს საბიუჯეტო სისტემის შემდეგ რგოლებს: საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, როგორც საკავშირო სახელმწიფოს, აქვს ერთიანი ბიუჯეტი, რომელშიც გაერთიანებულია საბიუჯეტო სისტემის ყველა ზემოხსენებული შემადგენელი რგოლი. ამგვარად, ჩვენს საბიუჯეტო წყობას ახასიათებს სსრ კავშირის მთელი საბიუჯეტო სისტემის სრული ერთიანობა. ეს გამოხატავს სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლების ერთიანობას, გამოხატავს ყველა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიზნების ერთიანობას. აქედან უშუალოდ გამომდინარეობს სოციალისტური სახელმწიფოს მთელი საფინანსო სისტემის ერთიანი ხასიათი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც ვთქვით, ამტკიცებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო. მასვე მიეკუთვნება აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმების დადგენა. ამით ხაზგასმულია სახალხო-სამეურნეო, და კერძოდ, საბიუჯეტო დაგეგმვის ერთიანობა.

ამგვარად, ჩვენში მტკიცედ ტარდება კავშირის უმაღლესობა საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის დაგეგმვის საქმეში, ხორციელდება სათანადო საფინანსო ცენტრალიზაცია. სსრ კავშირის უმაღლეს ორგანოთა კომპეტენციაში ამ ფუნქციების მოქცევა უზრუნველჰყოფს ერთიანი საფინანსო პოლიტიკის გატარებას, საშუალებათა საჭირო მანევრირებას, მათ სწორ განაწილებას მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით.

საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა და საფინანსო ცენტრალიზაცია არათუ გამორიცხავს საბიუჯეტო წყობის დემოკრატიზმს, არამედ, პირიქით, ჰგულისხმობს მის ყოველმხრივ განმტკიცებას. თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი, რაც მტკიცედ არის გატარებული სტალინურ კონსტიტუციაში, წარმოადგენს ჩვენი საბიუჯეტო წყობის ერთ-ერთ განმსაზღვრელ პრინციპს. სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელ დემოკრატიულ ცენტრალიზმს არაფერი აქვს საერთო საშუალებათა და მმართველობის იმ ცენტრალიზაციასთან, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებობს.

ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ყოველ რაიონს, ქალაქსა და სოფელს აქვს თავისი საკუთარი ადგილობრივი ბიუჯეტი. მას აწესებენ სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით.

ამ ბიუჯეტებში თავის გამოსახულებას პოულობს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა მეურნეობის, კულტურისა და მმართველობის ხაზით. რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ზრდა მოასწავებს ამ საქმიანობის საფინანსო ბაზის განმტკიცებას.

საბიუჯეტო წყობის დემოკრატიზმი ხელს უწყობს საჭირო რესურსების მართებულ გამოვლინებას და განაწილებას, მათ სწორ გამოყენებას, ადგილობრივი ორგანოებისა და მოსახლეობის ფართო მასების აქტიურ მონაწილეობას, ინიციატივის, დაინტერესების ზრდას სამეურნეო-კულტურული მშენებლობის გეგმების შესრულებაში.

საბიუჯეტო სისტემის ყოველ რგოლს მიკუთვნებული აქვს შემოსავლის გარკვეული წყაროები და ეკისრება სათანადო ღონისძიებათა დაფინანსება. საკავშირო ბიუჯეტით სწარმოებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის, საერთო საკავშირო მნიშვნელობის მეურნეობის დარგების, სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა და ღონისძიებათა დაფინანსება. იმავე ბიუჯეტს მიეკუთვნება კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა და მმართველობის ორგანოთა შენახვის ხარჯები, სახელმწიფო სესხის ხარჯები და რეზერვების შექმნა. რესპუბლიკური ბიუჯეტით ფინანსდება რესპუბლიკური მნიშვნელობის მეურნეობის დარგები, სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი და დაწესებულებანი, რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების და მმართველობის ორგანოების შენახვა. ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს ადგილობრივი მეურნეობის დარგებს, განათლებისა და ჯანმრთელობის ღონისძიებათა დიდ ნაწილს. მას ეკისრება აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შენახვის ხარჯები.

ამ ხარჯების დასაფარავად საბიუჯეტო სისტემის ყოველ რგოლს აქვს სათანადო შემოსავლის წყაროები. ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილება სწარმოებს იმ მიმართულებით, რომ თვითეულ ბიუჯეტს ჰქონდეს მტკიცე ფინანსური ბაზა საჭირო ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

სოციალისტური სახელმწიფოს საბიუჯეტო შემოსავალი უმთავრესად მიიღება განსაზოგადოებული მეურნეობის საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან. უკანასკნელნი თავისი მოქმედების შედეგად მიღებულ სოციალისტურ დაგროვებას ან მთლიანად (მაგალითად, ბრუნვის გადასახადი) ან გარკვეული ნაწილის ფარგლებში (მაგალითად, მოგების ანარიცხები) გადარიცხავენ სახელმწიფო ბიუჯეტის განკარგულებაში. ამის საფუძველზე იქმნება ის მტკიცე კავშირი, რომელიც არსებობს ბიუჯეტსა და საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო გეგმების შესრულებას შორის. სოციალისტური მეურნეობის დარგების მიერ საწარმოო გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულება აუცილებელი პირობაა გათვალისწინებული დაგროვების მისაღებად, საიდანაც რეალიზებულ იქნება საწარმოთა და ორგანიზაციათა ვალდებულებანი ბიუჯეტის წინაშე.

განსაზოგადოებული მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების გარდა, ჩვენს ბიუჯეტში სათანადო ადგილი აქვს მიკუთვნებული მოსახლეობაში ფულადი რესურსების მობილიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავლებს.

ბიუჯეტის მიერ აკუმულირებული თანხების გამოყენება, მათი დაბანდება სწარმოებს სოციალისტური სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების შესრულების შესაბამისად სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის, მმართველობის დაფინანსების ხაზით. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში „თავს იყრის მთელი ჩვენი მეურნეობის დაფინანსების ძაფები" (ვ. მოლოტოვი).

საბიუჯეტო დაფინანსებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობაში ძირითადი და საბრუნავი ფონდების ზრდის, კულტურის აღმავლობის, თავდაცვის განმტკიცების საქმისათვის. ამ ღონისძიებათა დაფინანსების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მანეთით კონტროლის მტკიცედ გატარებას, თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის: „სახსრების გონივრულად, მომჭირნედ ხარჯვის უნარი — მნიშვნელოვანი ხელოვნებაა, რომელიც ერთბაშად არ მოიპოვება". ამ ხელოვნების დაუფლება ყველა ორგანოს, ორგანიზაციისა და საწარმოს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მატერიალურ შინაარსზე უშუალო გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ ჩვენში მეურნეობის წარმართვის დროს გამოყენებულია როგორც სამეურნეო ანგარიშის, ისე საბიუჯეტო-სანუსხო პრინციპი.

საწარმოებს, რომელნიც გადაყვანილი არიან სამეურნეო ანგარიშზე, აქვთ საკუთარი შემოსავალი და ხარჯები, რაც აღირიცხება მათი შემოსავალ-გასავლის ბალანსში. ბიუჯეტს ისინი გადასცემენ თავისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს და ფინანსდებიან ბიუჯეტიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი შემოსავალი არ არის საკმარისი საწარმოთა ხარჯების დასაფარავად.

ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ფუნქციების შესრულება არ არის დაკავშირებული მათ მიერ შემოსავლის მიღებასთან. სახელმწიფო იმთავითვე განსაზღვრავს ამ დაწესებულებათა ყველა ხარჯს, რომლის დაფარვა მთლიანად სწარმოებს საბიუჯეტო რესურსებიდან. ამ ხარჯების მიმართ სდგება სათანადო ხარჯთაღრიცხვები. საბიუჯეტო დაწესებულებანი ემორჩილებიან დაფინანსების სანუსხო-საბიუჯეტო წესს, რომელიც გამოიყენება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, მმართველობისა და თავდაცვის დაფინანსების მიმართ. აღსანიშნავია, რომ 1938 წლიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მთლიანი შემოსავალი და ხარჯები აგრეთვე აღირიცხება ბიუჯეტში.

სამამულო ომის პერიოდში, მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნასთან ერთად, ბიუჯეტი გადაიქცა ომის მიზნებისათვის საჭირო ფინანსიური რესურსების მობილიზაციის მძლავრ იარაღად. მიუხედავად მრავალი სიძნელისა, ომის დაფინანსების ამოცანა საბჭოთა ბიუჯეტმა წარმატებით გადასჭრა, რაც საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძვლის სიმტკიცის გამომხატველია.

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ, მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, საბიუჯეტო სისტემის წინაშე დასმულია მეურნეობის აღდგენის, მისი შემდგომი აღმავლობისათვის საჭირო რესურსების დაგროვებისა და გამოყენების ამოცანა. მისი წარმატებით შესრულების ინტერესი მოითხოვს მუშაობის სათანადო გარდაქმნას ახალ ვითარებასთან დაკავშირებით.

ა. გოკიელი

უკრაინის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია

კიევი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). წელს ფართო გაქანება მიიღო უკრაინის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციამ. ცხრა თვის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 2.970 კილოვატი სიმძლავრის 40 სასოფლო ჰიდრო და თბოელექტროსადგური.

ამ ენერგეტიკულმა ბაზამ საშუალება მოგვცა წელს მოგვერწყო 2.600 ჰექტარი ბოსტნები; 414 ელექტროკალოზე გაგვილეწა 180 ათასი ტონა მარცვლეული. მინდვრის სამუშაოებისათვის გაგვეთავისუფლებინა 400-მდე ტრაქტორი და დაგვეზოგა ათას ტონაზე მეტი საწვავი.

ლენინგრადელი მხატვრების მოძრავი გამოფენები

ლენინგრადი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). საბჭოთა მხატვრების ლენინგრადის კავშირი მოძრავ გამოფენებს ამზადებს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

დამზადებულია გრაფიკულ ნაწარმოებთა დიდი გამოფენა უკრაინისათვის. იგი განკუთვნილია კიევის, ხარკოვის, ოდესის, ლვოვის, ჩერნოვიცისა და უჟგოროდისათვის. ექსპონატთა შორის არის: ა. პახომოვის ნაშრომები ლენინგრადის შესახებ და ვ. კურდოვის „ომის გზებზე", ნ. პავლოვის ოფორტები „ლენინგრადი თავდაცვის დროს", ვ. კონაშევიჩის ნახატები, გ. ვერეისკის პორტრეტები და ქ. რუდაკოვის ილუსტრაციები კლასიკოსთა ნაწარმოებებისათვის.

მთავრდება გამოფენათა ექსპონატების შერჩევა ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებისათვის რიგისათვის განკუთვნილი ექსპოზიცია შეიცავს ლენინგრადელი მხატვრების, გრაფიკოსებისა და მოქანდაკეების ნამუშევარს. ესტონეთისათვის განკუთვნილი გამოფენა მნახველებს გააცნობს ლენინგრადელ გრაფიკოსების შემოქმედებას.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესწავლა.
სურათზე: თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის აგიტატორი მ. ხუციშვილი ატარებს ჯგუფის მეცადინეობას. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პარტიული ცხოვრება

პირველი ღონისძიებანი

ტყიბულელი მეშახტეები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ საარჩევნო დებულებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომმა ამ დღეებში ჩაატარა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელებისა და პროპაგანდისტების თათბირი, რომელიც მიეძღვნა დებულების შესწავლის ორგანიზაციის საკითხებს. ყველა საწარმოდაწესებულებასა და სასოფლო საბჭოში ჩატარდა აგიტატორთა სემინარები. აგიტატორები უკვე ატარებენ საუბრებს მოსახლეობაში. დებულებასთან ერთად აგიტატორები მსმენელებს აცნობენ სსრ კავშირის კონსტიტუციას, ესაუბრებიან საერთაშორისო საკითხებზე.

ლენინის სახელობის შახტში 1.200-მდე კაცი შეუდგა საარჩევნო დებულების შესწავლას. აქ 51 აგიტატორია გამოყოფილი. შახტის ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა. აგიტატორებმა გ. ფანჩულიძემ და გ. ჩიტიშვილმა, სანამ დებულების შესწავლას შეუდგებოდნენ, მეშახტეებს გააცნეს არჩევნების შესახებ „პრავდის“ მოწინავე სტატიები. აგიტატორები ფართოდ იყენებენ დამხმარე ლიტერატურას. მაგალითად, დებულების პირველი თავის ახსნა-განმარტებისას მათ გამოიყენეს სსრ კავშირის კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი. არჩევნებისათვის მზადების დღეები, როგორც ლენინის სახელობის შახტში, ისე მთელს ტყიბულში, მძლავრი შრომითი აღმავლობით აღინიშნება.

საარჩევნო დებულების შესწავლა ორგანიზებულად დაიწყო სტალინის სახელობის შახტში და ახალი შახტების მშენებლობის ობიექტებზე.

ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თინა და ელენე რიჟამაძეებმა, რომლებიც მეორე და მეხუთე ბრიგადის კოლმეურნეებს აცნობენ არჩევნების დებულებას, სამი საუბარი ჩაატარეს.

რაიკომის პარტკაბინეტში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოწყობილია საარჩევნო ლიტერატურისა და ცენტრალურ გაზეთებში მოთავსებული სტატიების გამოფენა.

პარტიის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით, ხელმძღვანელი მუშაკები შახტებში, კოლმეურნეობებსა და მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში ატარებენ მოხსენებებს შემდეგ თემებზე: „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული საარჩევნო კანონია“, „სტალინური კონსტიტუცია და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა“, „სტალინური კონსტიტუციის თავისებურებანი“, „საბჭოთა მოქალაქის ძირითადი უფლება-მოვალეობანი“, „საბჭოთა ქვეყნის საარჩევნო სისტემა“ და სხვა. ლექციებსა და კონსულტაციებს ატარებენ კვალიფიციური ლექტორები.

ყოფილ საარჩევნო უბნებში შეიქმნა საგიტაციო პუნქტები. ტყიბულის რაიკომის გადაწყვეტილებით, ამ დღეებში მოეწყობა საგიტაციო პუნქტებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა 8-საათიანი სემინარი. აგიტატორები და აქტივისტები არჩევნებისათვის მზადებაში ფართოდ იყენებენ წინა არჩევნების დროს მიღებულ გამოცდილებას.

თვითეულ მშრომელს გავაცნოთ საარჩევნო კანონი—აი რისთვის იბრძვიან ახლა ტყიბულის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები.

დ. ქათამაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ზრდიან აგიტატორთა რიგებს

ლაგოდეხის რაიონის პარტიული ორგანიზაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების ფართო მასებისათვის გასაცნობად მრავალნაირ ღონისძიებას ატარებენ. საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მოეწყო აგიტატორთა თათბირები, რომლებზეც განმარტებულ იქნა, თუ როგორ ვაწარმოოთ საარჩევნო კანონის პროპაგანდა მასებში.

პარტიული ორგანიზაციები არჩევენ და აწინაურებენ აგიტატორთა ახალ კადრებს. მათ შორის არიან მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები.

რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორთა და პროპაგანდისტთათვის შერჩეულია ლიტერატურა საარჩევნო საკითხებზე: სსრ კავშირის კონსტიტუცია, ამხანაგ სტალინის მოხსენება საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება და სხვ. პარტკაბინეტის მორიგე კონსულტანტები განუმარტავენ აგიტატორებსა და ამომრჩევლებს მათთვის საინტერესო საკითხებს.

გ. ნოზაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

უხვი მოსავლის ოსტატები

(ბათუმი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ყველგან იგრძნობა ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ძალა. იღებენ ჩაის, სიმინდისა და კარტოფილის უხვ მოსავალს, მიმდინარეობს თამბაქოს შეტეხა, აწმსვა და გაშრობა, ჰკრეფენ ხილს, ემზადებიან ციტრუსების ნაყოფის უდანაკარგოდ აღებისათვის.

წელს რაიონის მშრომელები 60 მილიონ ცალზე მეტ ციტრუსს მისცემენ სამშობლოს.

წარმატებით სრულდება ჩაის კრეფის გეგმები. 27 სექტემბრისათვის 1.037.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილი იყო 1.043.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი — გეგმის 100,2 პროცენტი.

სოფელ ორთაბათუმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა. მოკრეფილი 54.000 კილოგრამი ჩაი მთლიანად პირველი ხარისხისაა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მეოთხე ბრიგადა (ბრიგადირი ი. პეტრიდი). პლანტაციების სანიმუშო დამუშავებით ბრიგადამ წლიური გეგმის გადამეტებით 6 ტონა ჩაი მოჰკრიფა. ბრიგადის წევრები ე. დოლიძე, ს. მაჭუტაძე და სხვები დღიურად ხუთ-ხუთ ნორმას ასრულებენ.

სოფელ ყარადერეს ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ თვენახევრით ადრე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მან ჩააბარა 85 ტონა პირველი ხარისხის ნედლეული. შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სტახანოველები ასიე და თენზილე მხეიძეები. თვითეული მათგანი დღიურ ნორმას ერთიხუთად და ხშირად მეტადაც ასრულებს.

ენერგიულად მუშაობს სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ა. გოგოლაძე). აღნიშნული მეურნეობის იმ რაიონმა, რომელსაც აგრონომი ზ. ბესელიშვილი ხელმძღვანელობს, დიდი გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. კარგად მუშაობს პ. ძურადოვის აგრორაიონიც. აქ ჩაის კრეფის ბევრი შესანიშნავი ოსტატია. დიდი ნაყოფიერებით მუშაობენ ნ. კუჭავა, ა. პერშინა, ა. ვარშანიძე, ო. კაისიდი, ა. რაბცესი, ტ. პეტრენკო და მ. სოკოლოვა.

სოფელ ფერიის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ წევრებმა წლიური გეგმის დამატებით მოჰკრიფეს 3.000 კილოგრამი ჩაი.

ორთაბათუმის სასოფლო საბჭოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეული ბრიგადა და რგოლი წარმატებით ანაღდებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა მეხუთე ბრიგადა (ხელმძღვანელი ხ. მალაყმაძე). წლიური გეგმა მან 250 პროცენტით შეასრულა. ბრიგადის წევრები ფ. ზოიძე, ნ. ხინიკაძე, ფ. ჩხაიძე დღიურად 50-60 კილოგრამ ჩაის ჰკრეფენ.

კოლმეურნეობებს მიღწევები აქვთ თამბაქოს მოსავლის აღებაშიც. მათ სახელმწიფოსათვის უნდა ჩაებარებინათ 75.000 კილოგრამი თამბაქო. წლიური გეგმა უკვე შეასრულეს. კოლმეურნეობებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით დაამზადონ 20 ტონა თამბაქოს ნედლეული.

სოფელ აჭარისაღმართის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. მსხალაძე) თამბაქოს პლანტაციები სანიმუშოდ დაამუშავეს. მოსავალსაც უხვად იღებენ. კოლმეურნეობამ 101 პროცენტით შეასრულა თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა. იმ ბრიგადამ, რომელსაც ნ. სალაძე ხელმძღვანელობს, კარგად მოაწესრიგა შრომა. ბრიგადა წლიური გეგმის გადამეტებით სამ ტონა თამბაქოს იძლევა.

ასეთი საამაყო მაჩვენებლებით ხვდებიან ბათუმელი კოლმეურნეები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავს.

ვ. ანთაძე

სამემოდგომო ხვნა-თესვა

გარდატეხა არ მომხდარა

გურჯაანი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). დიდი ჩამორჩენაა საშემოდგომო ხვნა-თესვაში. 20 ოქტომბრისათვის თესვის სახელმწიფო გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 44,2 პროცენტით.

გურჯაანის ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. თათულაშვილი) ნელი ტემპით სთესავს. ახლაც კი, როცა თესვის ვადები მიიწურა, აქ ყველა საშუალება არ არის გამოყენებული ხვნა-თესვის დასაჩქარებლად. ამ კოლმეურნეობაში იყო ცდა შეუმოწმებელი, დასარევლიანებული თესლი დაეთესათ.

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ (თავმჯდომარე ს. ჯავშანაშვილი) 15 ოქტომბრისათვის გვალვის მომიზეზებით თესვა დაწყებულიც არ ჰქონდა. ჩამორჩენის მიზეზი ნამდვილად გვალვა კი არ იყო, არამედ ძალების არასწორი განაწილება.

თესვის საუკეთესო ვადები ხელიდან გაუშვა სოფელ ურიათუბნის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამაც. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. დვალიშვილს ეს მდგომარეობა რატომღაც არ აწუხებს. ჩამორჩენა არის სოფელ ვეჯინის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე ქ. ჩერქეზიშვილი).

არიან ხვნა-თესვაში მოწინავე კოლმეურნეობები. ასეთია სოფელ შრომის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე გ. ძამაშვილი). გუთნისდედა გ. ხახუტაშვილი ხვნის ყოველდღიურ დავალებას ერთიორად ასრულებს. კარგად მუშაობენ მეხრეები ვ. სოხაშვილი და ი. ნატროშვილი.

თესვას ამთავრებენ სოფელ მუკუზნის კოლმეურნეობა „გლეხთა გაერთიანება“ (თავმჯდომარე ი. ჩეკურიშვილი) და სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე დ. სიმონიშვილი).

გურჯაანის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებში არ არის მოწყობილი სადღეღამისო მუშაობა. ტრაქტორებს არა აქვთ ელექტრონის ნათურები. მტს-ის 14 სატრაქტორო ბრიგადიდან მხოლოდ ერთი—მეცამეტე ბრიგადა, რომელსაც ს. ნატროშვილი ხელმძღვანელობს, ასრულებს ხვნა-თესვის დავალებას. ტრაქტორები ხშირად უქმად დგანან. ზოგიერთი კოლმეურნეობაც არ უწყობს ხელს სატრაქტორო ბრიგადებს. მაგალითად, მეთორმეტე სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. ქევხიშვილი) სოფელ შაშიანის ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე მუშაობდა. ბრიგადას სამ ტრაქტორზე მხოლოდ ერთი კოლმეურნე მიამაგრა კოლმეურნეობამ. ამის გამო ბრიგადირს ხელი ეშლებოდა მუშაობაში.

ხვნა-თესვის გეგმის შესრულება საფრთხეშია. მივიღოთ გადამჭრელი ზომები ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად.

ვ. ციხისთავი

კამერული მუსიკის კონცერტზე

14 ოქტომბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ კამერული კონცერტების სეზონი გახსნა.

კონცერტის მხატვრული ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი შ. თაქთაქიშვილი.

კამერული კონცერტების სერია, რომელიც ჯერ კიდევ შარშან დაიწყო, 1946 წლის სეზონამდე უნდა გაგრძელდეს.

კამერულ ესტრადაზე მუსიკოსს საშუალება ეძლევა გამოამჟღავნოს, თუ მსმენელზე რა გავლენას ახდენს მისი შემოქმედება, რომელიც განმტკიცებული არ არის დამხმარე ელემენტებით (კოსტუმი, სინათლის ეფექტი, დეკორაციები).

ამ სეზონის პირველ კონცერტზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მ. ევთიშვილმა, გ. ბარნაბიშვილმა და ე. ტერ-მინასოვამ, რაც მათი სერიოზული მომზადების შედეგია.

სამარტინის სონატა „ადაჯიო“, ვივალდის პიესა, ბარკერინის „რონდო“, ვ. ბახის პიესები და ჰაიდნის ბრწყინვალე დო-მაჟორული კონცერტი—ასეთია XVII და XVIII საუკუნის კლასიკოსთა ძნელად შესასრულებელი ნაწარმოებებისაგან შემდგარი პროგრამა, რომელიც ვიოლონჩელისტმა გ. ბარნაბიშვილმა შეარჩია. მან განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა ჰაიდნის კონცერტის II ნაწილი, აგრეთვე პროგრამის გარეშე სენ-სანსის „გედი“ და სარაზატეს ესპანური ცეკვა „ცაპატეადო“.

შესანიშნავ ტექნიკურ შესაძლებლობებთან ერთად, რომლებიც გ. ბარნაბიშვილს გააჩნია, მის შესრულებაში სასურველია მუსიკალური აზრის მეტი სიღრმე და კონცერტული არტისტულობა.

ე. ტერ-მინასოვამ დიდი ტაქტით შეასრულა ზემოაღნიშნულ ნაწარმოებთა საფორტეპიანო პარტია და ხელი შეუწყო ერთიანი ანსამბლის შექმნას.

გლაზუნოვის, შოპენისა და ლისტისადმი იყო მიძღვნილი კონცერტის მეორე განყოფილება, რომელიც პიანისტმა მ. ევთიშვილმა შეასრულა. დავრწმუნდით, რომ პიანისტს არა მარტო „კარგი ხელი“, არამედ კარგი მუსიკალური აზროვნებაც აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული ლისტის ფანტაზია ვერდის „რიგოლეტოს“ თემაზე.

ვიმედოვნებთ, რომ რეგულარული კონცერტები უზრუნველჰყოფენ ამ ნიჭიერი პიანისტის ნამდვილ შემოქმედებითს ზრდას.

ი. გოკიელი
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ამინდის შეცვლა საქართველოში

რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ამინდი მკვეთრად შეიცვალა. შემოდგომის თბილი, მზიანი ამინდი ქარიანმა და წვიმიანმა დღეებმა შეცვალა. მთელ რესპუბლიკაში საგრძნობლად აცივდა.

ამინდის ბიუროს ცნობით, ეს ცვლილება დაიწყო 20 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში (გაგრა, სოხუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი, სამტრედია და ა. შ.) წვიმა წამოვიდა. აღმოსავლეთ საქართველოშიც ღრუბლიანობა იყო. ამავე დღეს დასავლეთ საქართველოში ამოვარდა ქარი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

21 ოქტომბერს 1 საათიდან ჰაერის ტემპერატურამ ერთბაშად დაიკლო გაგრაში პლუს 5 გრადუსამდე, სოხუმში 6 გრადუსამდე, გორში 8 გრადუსამდე, ბორჯომში 6 გრადუსამდე და თბილისში 10 გრადუსამდე. 22 ოქტომბერს დილის 7 საათზე დასავლეთ საქართველოში ძლიერი წვიმა გრძელდებოდა. განსაკუთრებით დიდი წვიმა იყო შავი ზღვის სანაპირო რაიონებში (ბათუმი, ფოთი, სოხუმი). 23 ოქტომბერს წვიმა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით ხუსტი იყო.

22 ოქტომბერს ღამით მთელ რიგ რაიონებში (წიფა, სურამის უღელტეხილი, ბაზური, ბორჯომი, აბასთუმანი) დაიწყო თოვა. 23 ოქტომბერს თოვა დაიწყო დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებშიც ტემპერატურამ დაიკლო ყველგან. ქუთაისში 24 ოქტომბერს დილით ტემპერატურა უდრიდა პლუს 4 გრადუსს, ბორჯომში მინუს 1 გრადუსს, ბაკურიანში მინუს 7 გრადუსს, გუდაურში მინუს 9, ახალციხეში მინუს 2 გრადუსს და ა. შ. 24 ოქტომბრიდან თოვა გრძელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში თოვა წვიმით შეიცვალა.

24 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში შუადღიდან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში საღამოდან წვიმა და თოვა შეწყდა. ტემპერატურა კვლავ დაბალი იყო და უდრიდა სოხუმში და ბათუმში პლუს 6 გრადუსს, ქუთაისში პლუს 2, ტყიბულში მინუს 5, ბაკურიანში მინუს 11, თბილისში მინუს 2 გრადუსს.

ამინდის ბიუროს განმარტებით, ამინდის ასეთი შეცვლა, რაც საქართველოში ამ დროს იშვიათია, გამოიწვია თბილი პოლარული ციკლონის გადანაცვლებამ (მინსკის რაიონი) ჩრდილო-აღმოსავლეთით. 19 ოქტომბერს ციკლონი დაიძრა ადგილიდან და მის ზურგში მეოფი ცივი არქტიკული ჰაერის მასა წამოვიდა სამხრეთისაკენ. ცივი არქტიკული ჰაერის შემოსვლა საქართველოში 25 ოქტომბერს 1 საათამდე გრძელდებოდა.

არქტიკული ცივი ჰაერის ფორმირება ხდება არქტიკაში. ჩვეულებრივად ეს მასა თან მოსდევს ციკლონს და საქართველოს ტერიტორიამდე მოძრაობისას გზაში თბება. ახლა კი ციკლონმა აღმოსავლეთით გადაინაცვლა და ცივი ჰაერი დიდი სისწრაფით წამოვიდა სამხრეთისაკენ. ცივი ჰაერის მასის შემოჭრამ გამოიწვია ქარები და თოვა.

ამჟამად ამინდი ყველგან გაუმჯობესებულია და უახლოეს დღეებში მისი გაუარესება მოსალოდნელი არ არის.

ნიკოლოზ ბარათაშვილის დღეები

გორი

22 ოქტომბერს გორის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბუჯიაშვილმა.

მოხსენებით ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოვიდა პოეტი ს. ჩიქოვანი.

სიტყვები წარმოსთქვეს აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. კოჟევნიკოვმა, ლატვიელმა პოეტმა ვანაგსმა, ორდენოსანმა მასწავლებელმა გრიგოლ გლურჯიძემ. გორის პედინსტიტუტის ლექტორმა გ. ტალიაშვილმა პოეტმა კარლო კალაძემ წაიკითხა ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

სხდომის მონაწილენი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ბარათაშვილის სახელი მიეკუთვნა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტს.

სხდომის დასასრულს გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს ბარათაშვილის ლექსები.

გალი

16 ოქტომბერს ქ. გალში გაიმართა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

მოხსენება ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა მწერალმა ა. ჩაჩიბაიამ.

ბარათაშვილის ლექსები წაიკითხეს ქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა

დასასრულ ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი.

ს ვ ა ნ ე თ შ ი*

წინათ, რევოლუციამდე, — განაგრძობს ექიმი ნიჟარაძე, — სვანეთის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის არავინ ზრუნავდა. კავკასიის მთავარმართებელი უარს ამბობდა ზემო და ქვემო სვანეთისათვის თუნდაც ერთი ექიმის შესანახავი ხარჯების გაღებაზე. ამას ასე „ასაბუთებდა“: ფერშალიც კმარა, სულ ერთია სვანების დღეები დათვლილიაო. ხელისუფალნი აღნიშნავდნენ მასობრივ სიკვდილიანობას, მაგრამ თვალს არიდებდნენ ყველა უბედურების პირველ მიზეზს. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ არ იყო პური, მარილი, კვების ელემენტარული პროდუქტები, ცხოვრების პირობები არაადამიანური იყო.

წელიწადში რვა-ცხრა თვეს, რამდენ ხანსაც თოვლი იდო და ყინვები იყო, ღასუსტებული სვანები პირუტყვთან ერთად ცხოვრობდნენ მთლად გამჭვარტლულ ბნელ მაჩუბში — სავარეულო კოშკის ქვემო სართულში. მიწის იატაკზე მუაგულ „ოთახში“ აწყობდნენ კერას. ცეცხლზე ჯაჭვით ეკიდა სპილენძის ქვაბი. სამ კედელთან იდგა ხის სკამები, მეოთხესთან გადატიხრული იყო ადგილი ძროხების, ცხვრებისა და სხვა საქონლისათვის. ფანჯრების ნაცვლად კედლებს დატანებული ჰქონდა ოდნავ შესამჩნევი სათოფურები. მეზობელ გვარებს შორის დაუსრულებელი დავა იყო. სისხლის აღების ჩვეულება ასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა.

სვანთა შორის ჩიყვიანობის გავრცელებიდან არასწორი დასკვნები გამოჰყავდათ. ჩიყვი, — გვიხსნის მხცოვანი ექიმი, — ჩნდება მთის წყლის ხმარებისაგან, რომელიც მარილებს არ შეიცავს, ორგანიზმში მარილის საერთო ნაკლებობისაგან. საიდან უნდა ეშოვნათ რევოლუციამდე სვანებს მარილი? სვანეთში იმ დროს არავითარი ვაჭრობა არ იყო. ვთქვათ სვანმა გადასწყვიტა ხანგრძლივი და სამიში მგზავრობა, უღელტეხილის გადალახვა და ქუთაისში ჩასვლა რამდენი მარილის მოტანას შესძლებდა საკუთარი ზურგით? ანდა სად უნდა ეშოვნა ფული?

ამრიგად, მეომარი ხალხიდან, რომელსაც ასე პატივისცემით იხსენიებს სტრაბონი, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მიაღწია 12 ათასამდე კაცმა. ისინი ფეხზე დადგნენ, დასაწყისი მისცეს ახალ ცხოვრებას. ჩემ თვალწინ დაცარიელდა ძველი მაჩუბები. სვანებმა ორსართულიანი ოდასახლები აიშენეს. დააკვირდით, — კოხტა სახლების ახალი ქუჩები მთისკენ მიიმართება, ხიდს გაღმა. იქ ცხელი სამკურნალო წყაროებია, მჟავე წყალი ამოჩუხჩუხებს.

— ხალხში გემოვნება გაჩნდა, — გაიღიმა ნიჟარაძემ ჭალარა ულვაშებში.

ახლა ჩიყვიანების რიცხვმა შეუდარებლად იკლო. ეს შედეგი იოდით მკურნალობისაც და ქირურგის დანის გაბედული გამოყენებისაც. უშიშარი ოპერაციაა.

...სვანეთიდან წამოსვლის წინ კვლავ ვიყავი ნიჟარაძესთან. — კარგი ჰქენით რომ შემოიარეთ. აქ ერთი ციფრი დავამზადე. იგი სასიამოვნოდ ისმის. 1945 წლის 1 იანვრისათვის სვანების რიცხვი 36 პროცენტით გაიზარდა!

მაშასადამე, სვანების აღორძინება სწრაფად მიდის წინ.

IV. თანამემამულის საჩუქრად

სადაც კი სვანი ფეხს მოიკიდებს, იქ, თუ საყანე არა, სათიბია. არაფერს ისე დიდი ღირებულება არა აქვს სვანეთში, როგორც მიწას. რევოლუციამდე ერთ სულზე ორი მეათედი ჰექტარი მოდიოდა. არაჩვეულებრივი შეცადინეობით, სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენებით, მთებს, ქვის ქაოსს გამოსტაცეს კიდევ ცოტაოდენი სახნავი — ოთხას ორმოცდაათი ჰექტარი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.

განზე მაინცდამაინც ვერ გაიწევ, მთაგრეხილები და მყინვარები არაფერს სთმობენ. მაშასადამე, დანაკლისი ანაზღაურებულ უნდა იქნას მიწათმოქმედების კულტურით, ფართობის მაღალი მოსავლიანობით. საბჭოთა სახელმწიფო ზრუნავს შავის მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის. ის დიდ სახსრებს ხარჯავს 12 აგრონომისა და ზოოტექნიკოსის შესანახავად, ახალი თესლის, ხეხილის ნერგის გამოსაყვანად და სხვ.

აგრონომების რჩევით სვანებმა მცირემოსავლიანი და ადამიანისათვის ძნელად მოსანელებელი ქერი თითქმის მთლიანად შესცვალეს სიმინდის ნათესებით. თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ბოსტნეულმა, განსაკუთრებით კარტოფილმა, რომელიც მთებში ძალიან კარგ მოსავალს იძლევა.

მესტიაში ჩატარებულმა ცდებმა ცხადჰყვეს, რომ სვანეთში თითქმის ყველგან კარგად შეიძლება იხაროს ვაშლმა, მსხალმა, ქლიავმა. 77 პროცენტით გაიზარდა რაიონის აგრონომიისათვის ბიუჯეტით მიცემული ასიგნობანი ყინვაგამძლე მიჩურინულ ჯიშთა ნერგების გამოსაცდელად.

ძველთაგანვე სვანები კავკასიაში ყველაზე იაფ, თითქმის მუქთ მუშახელად ითვლებოდნენ. საარსებო პურის საძებნელად სვანები დადიოდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, სტავროპოლის ველებში, საძოვრებზე, ვენახებში.

მიწათმოქმედება ახლაც ბევრ თავისუფალ დროს უტოვებს სვანებს. მაგრამ საშოვარზე შინიდან შორს წასვლა სრულებით აღარ არის საჭირო. სახელმწიფომ სვანების სამსახურში ჩააყენა მთების, ტყეებისა და ხევების ბუნებრივი სიმდიდრენი.

სვანები უბადლო ოსტატობით აცურებენ აქაფებული ენგურით თავიანთი ჭეშმარიტად ულევი ტყეების სიმდიდრეს. ქვევით, ბარში, მთის მაგარი ხე-ტყე ქაღალდად მუშავდება, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ენგურის ქაღალდის კომბინატი, რომელიც მიწოდებულია მთელი კავკასიის საჭიროება დააკმაყოფილოს, მერქნის მიუწოდებლობით შეფერხებულიყო.

კავკასიონის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე მონადირე სვანებმა აჩვენეს გეოლოგებს იშვიათი, მაგრამ სავსებით აუცილებელი ლითონის საბადო. ყინულოვან ტერასზე, სადაც ორი ადამიანის სიმაღლის თოვლი დევს, აღმართულია ქარხნის კორპუსები. მას სვანები აშენებდნენ, ექსპლოატაციასაც სვანები ეწევიან.

ცოტა უფრო ნაკლებად თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, ენგურის ნაპირებზე, ოქროს საძიებლებია. მაძიებელთა ორ მესამედს სვანები შეადგენენ.

მოგზაურები, რომლებიც სვანეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ყოფილან, გაოცებას ეძლეოდნენ: — აი, ქვეყანა, სადაც ფული სრულებით არ არისო! ფულის მაგივრობას პირუტყვი, ტანისამოსი, იარაღი სწევდა. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეელეოდნენ საგვარეულო რელიკვიას—კერაზე დაკიდებულ სპილენძის ქვაბს.

არავინ არ იცის ზუსტად, რამდენად დიდია სვანების ფულადი შემოსავალი ახლა. რაკი გადასახადებს არ ახდევინებენ, შემოსავალსაც არ ანგარიშობენ. დასკვნის გამოტანა შეიძლება ზოგიერთი არაპირდაპირი ნიშნის მიხედვით.

ღამის გასათევად მიმიწვია 67 წლის გლეხმა ტარას ჯამბუს-ძე ჯაფარიძემ. მხნე, ჭარმაგმა მოხუცმა ხელი მომკიდა, ერთმანეთის გვერდით მდგომ სამ ორსართულიან ოდაზე მიმითითა და მკითხა: — რომელი მოგწონს?

მე ვუპასუხე.

—მაშ იქ წავიდეთ. — კიბეს ავყევით და მეორე სართულზე ავედით. ჯაფარიძემ დაუკეტავი კარი შეაღო, ელექტროშუქი ჩართო (მესტიაში საკუთარი ელექტროსადგურია) და გულზე ხელი მიიდო.

— ჩემი სახლი თქვენი სახლია. მობრძანდით.

თვითონვე მომეწონა ჩემი მიხვედრილობა.

— რა კარგად გამოიცანი თქვენი სახლი, ტარას ჯამბუს-ძევ.

მოხუცმა გადაიხარხარა. — ეს წაუგებელი თამაში იყო. სამივე სახლი ჩემია. სამივე აშენებულია ჯაფარიძის ფულით და შიგ ჯაფარიძის ოჯახის ოცდაექვსი წევრი ცხოვრობს. აქ ერთგან თუ მოგწყინდება, მეორე ადგილას გადავალთ.

იმავე წლებში, როდესაც ეს სამი ევროპული სახლი შენდებოდა და იმართებოდა, ჯაფარიძემ შეიძინა: 7 ძროხა, 2 უღელი ხარი, საჯდომი ცხენი, 8 ღორი, 17 ცხვარი, 15 თხა.

ოჯახის ბიუჯეტი იქმნება მიწათმოქმედების შემოსავლით, კარტოფილისა და ბოსტნეულის გაყიდვით და ხე-ტყის დამუშავებაზე ვაჟების ხელფასით.

სვანებს ჰყავთ თანამემამულე—საბჭოთა კავშირის გმირი, წყალქვეშა ნავის მეთაური იოსელიანი. მისი სადღეგრძელო აუცილებლად წარმოითქმის ყოველ სუფრაზე. არ ვიცი, ვინ სთქვა პირველი სიტყვა, ვის დაებადა საბედნიერო აზრი, — მაგრამ მთიელებმა გადასწყვიტეს მიუძღვნან გმირს ახალი, ყველაზე ძლიერი წყალქვეშა ნავი, და რომ ამ ნავს აუცილებლად წარწერილი ჰქონდეს ოქროს ასოებით: „საბჭოთა სვანეთი“. ერთი კვირის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის მესტიის განყოფილებაში სვანებმა სამი მილიონი და რვაას ორმოცი ათასი მანეთი შეიტანეს.

იმ ადამიანებს, რომლებიც თანამემამულეს ასეთ საჩუქარს უძღვნიან, სჩანს როდი უჭირთ ფული და საარსებო პური.

ილია დუზინკა

*) დასასრული დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ 211 (7426).

არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგები საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეების შეფასებით

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). რადიო გადმოგვცემს სხვადასხვა პოლიტიკური მოღვაწის განცხადებას, რომელიც არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგთა შეფასებას შეიცავს.

„ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტია წინ არის არა მარტო მიღებული ხმების რაოდენობით, არამედ დამფუძნებელ კრებაში მიღებული ადგილების რაოდენობითაც, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთში არაფრის რეალიზაცია არ შეიძლება კომუნისტების მიერ მონაწილეობის მიუღებლად, კომუნისტებისა, რომლებსაც არ ეშინიათ პასუხისმგებლობისა ჩვენი ქვეყნის სამსახურის დროს, — განაცხადა კომუნისტური პარტიის მდივანმა ჟაკ დიუკლომ. — კვირას ჩატარებულმა საყოველთაო არჩევნებმა, — განაგრძო მან, — გვიჩვენეს, რომ ფრანგი ხალხი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სახით ხედავს ეროვნული აღორძინების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს. გუშინ საფრანგეთმა მთელი სიცხადით გამოარკვია თავისი პატრიოტული და რესპუბლიკური მისწრაფებანი. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ, ვისაც სურს უზრუნველჰყოს პროგრესისა და თავისუფლების ყველა ძალთა მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის აღდგენის საქმეში".

შედეგებმა ყველა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბეს, — თავის მხრივ ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის ლიდერმა მორის შუმანმა. შუმანმა აღნიშნა სხვადასხვა მიზეზი, რამაც ხელი შეუწყო პარტიის წარმატებას, და დაადასტურა მისი პარტიის მისწრაფება — ახალი მთავრობის სათავეში კვლავ დასტოვოს გენერალი დე გოლი. მთავრობის მომავალი უმრავლესობის და მთავრობაში „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წევრთა მონაწილეობის საკითხზე მორის შუმანმა დიდი სიფრთხილით გამოსთქვა აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ არ მომხდარა მისი პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც უნდა გამოირკვეს პოლიტიკური ხაზი.

სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა მეიერმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: სოციალისტებს უფლება აქვთ თავი დაკმაყოფილებულად იგრძნონ. ახლანდელი სახალხო კონსულტაციის დამახასიათებელი თვისება არის კრახი ძველი კლასიკური ორგანიზაციებისა, რომლებმაც ვერ შესძლეს განახლების საჭირო ღონისძიებათა განხორციელება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მოხდა დიდი გადაჯგუფება და ამიერიდან საფრანგეთში არის მხოლოდ სამი დიდი პარტია, რომლებიც თითქმის თანასწორი არიან თავიანთი მნიშვნელობით: სოციალისტური, კომუნისტური და „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიები. ამ სამ პარტიას ერთად ახალ კრებაში აქვთ დიდი უმეტესობა და სამივეს განზრახული აქვს მოითხოვოს წინააღმდეგობის ნაციონალური საბჭოს პროგრამის მალე და სრულად განხორციელება.

ფრანგული პრესა მთავრობის უმრავლესობის საკითხის შესახებ

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობის შექმნის პრობლემა კვლავ იპყრობს საფრანგეთის პოლიტიკური წრეების ყურადღებას.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ოფიციალური აზრი უმრავლესობის პრობლემის შესახებ, როგორც მოელიან, ცნობილი გახდება მახლობელ ორ დღეში. მაგრამ გუშინ ლეონ ბლუმმა გაზეთ „პოპიულერში" აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ შეიქმნას უმრავლესობა სოციალისტების, კომუნისტებისა და „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" შემადგენლობით წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს პროგრამის, როგორც მომავალი მთავრობის პროგრამის აღიარების საფუძველზე.

„ლუმანიტეში" კონიო იცავს კომუნისტებისა და სოციალისტების უმრავლესობას დამფუძნებელ კრებაში ამ უმრავლესობაში „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის მიერ მონაწილეობის მიუღებლად.

რაც შეეხება „სახალხო-რესპუბლიკურ მოძრაობას", მისი ხელმძღვანელების პოზიცია, როგორც ჩანს, ჯერ საბოლოოდ არ არის გამორკვეული, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა — მორის შუმანმა — გუშინ გაზეთ „ობში" აზრი გამოსთქვა პარლამენტის უმრავლესობის შექმნის სასარგებლოდ „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობისა" და სოციალისტების შემადგენლობით.

საფრანგეთის არჩევნებისა და რეფერენდუმის შედეგები

პარიზი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამომრჩეველთა დიდმა უმეტესობამ „ჰო" უპასუხა რეფერენდუმის პირველ კითხვაზე, ე. ი. აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ 21 ოქტომბერს არჩეული კრება დამფუძნებელი კრება იყოს. წინასწარი ცნობების თანახმად, 19.081.808 ამომრჩეველმა დადებითად უპასუხა რეფერენდუმის პირველ კითხვაზე და მხოლოდ 800.884 ამომრჩეველმა გასცა უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე.

დამახასიათებელია, რომ იმ ამომრჩეველთა შორის, რომლებმაც ხმა მისცეს რადიკალებს, ყველამ როდი დაუჭირა მათ მხარი, რომ რეფერენდუმის პირველ კითხვაზე უარყოფითი პასუხი მიეცათ.

რეფერენდუმის მეორე კითხვაზე, რომელიც ეხება მთავრობის იმ პროექტის მოწონებას, რაც ხელისუფლების მოწყობას ჰგულისხმობს ახალი კონსტიტუციის შემუშავების დროისათვის (ე. ი. დამფუძნებელი კრების არსებობის მომავალი შვიდი თვის განმავლობაში), იმავე ცნობების მიხედვით, დადებითად უპასუხა 13.224.753 ამომრჩეველმა, ხოლო უარყოფითი პასუხი გასცა 6.613.635 ამომრჩეველმა.

ცალკე დეპარტამენტებში რეფერენდუმის მეორე კითხვამ დადებითი პასუხი მიიღო მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობით. დრომის დეპარტამენტში მეორე კითხვაზე „ჰო" უპასუხა 62 ათასმა ამომრჩეველმა და უარყოფით — 61 ათასმა ამომრჩეველმა.

არჩევნების წინ იუგოსლავიაში

ბელგრადი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგრადის რადიოს ცნობით, 21 ოქტომბერს სარაევოში შესდგა სახალხო ფრონტის დიდი წინასაარჩევნო მიტინგი, რომელსაც დაესწრო 80 ათასამდე კაცი. მიტინგზე გამოვიდნენ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახალხო სკუპშჩინის თავმჯდომარე ბოისლავ კრიშმანოვიჩი, იუგოსლავიის სატყეო მეურნეობის მინისტრი სულეიმან ფილიპოვიჩი და ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სახალხო მთავრობის მეთაური რადოლიუბ ჩოლაკოვიჩი.

— მომავალ არჩევნებში ჩვენ ცბიერობა არ გვჭირდება, — სთქვა რადოლიუბ ჩოლაკოვიჩმა, — ჩვენ მხოლოდ დავადასტურებთ იმას, რისთვისაც ვიომეთ და რასაც მივაღწიეთ. ჩვენ მოვიპოვეთ ახალი დემოკრატიული წყობილება და სრულიად სხვა სახე მივეცით ჩვენს სამშობლოს. აი რატომ არის ახლა იგი ესოდენ ძვირფასი თანაბრად ყველასთვის, სერბიელია ის, ხორვატია, სლოვენი, ჩერნოგორიელი, თუ მაკედონელი. ვინაიდან იგი ყველასთვის დედაა. ჩვენი დემოკრატიული წყობილების დროს ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ მარტო საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით როდი უნდა განვიხილოთ ჩვენი მდგომარეობა. ჩვენ მსოფლიოში მარტონი არა ვართ, საკმაოდ გვყავს მეგობრები და მტრებიც. ჩვენი მოვალეობა ის არის, რომ შევიძინოთ რაც შეიძლება მეტი გულწრფელი მოკავშირე და მეგობარი, რათა ერთობლივი ღონისძიებებით დავიცვათ კაცობრიობის საერთო კეთილდღეობა, სახელდობრ, მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ჩვენ გულწრფელად გვსურს, რომ მშვიდობა დაცულ იქნას მრავალი თაობისათვის. ამიტომ ვეწევით მშვიდობიანობისა და ყველა იმასთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკას, ვინც ჩვენს დამოუკიდებლობას პატივს სცემს. ჩვენ მძლავრი მოკავშირეები შევიძინეთ უმთავრესად მოძმე სლავური ქვეყნების სახით. და აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დიდი მოძმე საბჭოთა კავშირი, რომელთანაც დავდეთ ხელშეკრულება მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ. ეს ხელშეკრულება ყველა ჩვენი ხალხის მისწრაფებასა და იმედს გამოხატავს. ამ ხელშეკრულების დადება მიგვაჩნია ჩვენი მომავალი შეუფერხებელი განვითარების გარანტიად.

მოითხოვენ ფრანკოსთან კავშირის გაწყვეტას და ესპანეთში ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციას

ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის ამერიკის კომიტეტის მიმართვა

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ბოსტონის მეთოდისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა ჰარტმანმა, რომელიც „ესპანეთის თავისუფლებისათვის ბრძოლის ამერიკის კომიტეტის" თავმჯდომარეა, პრესის წარმომადგენლებს გადასცა, რომ კომიტეტმა მიმართვა გაუგზავნა ტრუმენს, რომლითაც დაჟინებით მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა მიაღწიონ ფრანკისტულ ესპანეთთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ და სრულ გაწყვეტას. მიმართვაში აღნიშნულია, რომ არ შეიძლება დაშვებულ იქნას, რომ ესპანეთი გადაიქცეს მსოფლიოს დაპყრობაზე ფაშისტური ოცნების აღორძინების ბაზად.

კომიტეტმა სახელმწიფო დეპარტამენტს და ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა და წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიების თავმჯდომარეებს მიმართვები გაუგზავნა, რომლებშიც დაჟინებით მოითხოვს, რომ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ბრედენს დაევალოს მომავალ საამერიკათაშორისო კონფერენციას და მთელი მსოფლიოს პრესას მიაწოდოს საიდუმლო ცნობები იმ დახმარების შესახებ, რასაც ფრანკისტული ფალანგა ლერძის ქვეყნების წარმომადგენლებს უწევდა დასავლეთ ნახევარსფეროში და ფილიპინებზე. მიმართვაში ნათქვამია, რომ ასეთი ცნობები მოეპოვება სახელმწიფო დეპარტამენტს, ამერიკის არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დაზვერვის სამსახურს, დასავლეთის ნახევარსფეროს პოლიტიკური დაცვის საგანგებო კომიტეტს და მთავრობის სხვა ორგანიზაციებს. კომიტეტი მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა მოახდინონ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ესპანეთის ფონდების სეკვესტრი და ვაჭრობა შესწყვიტონ ფრანკოსთან.

ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის მორიგ სხდომაზე

ლონდონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). 21 ოქტომბერს ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის, დანიის, კუბის, სიამისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის დელეგაციათა შესახებ. აღინიშნა, რომ საბერძნეთის ეპონის (საბერძნეთის ახალგაზრდობის პატრიოტული ორგანიზაცია) ახალგაზრდობის დელეგაციას ჯერ კიდევ არ მიუღია ვიზები კონფერენციაზე გასამგზავრებლად იმის გამო, რომ საბერძნეთის მთავრობამ შეუზღუდა საბერძნეთიდან გამგზავრების უფლება 17-დან 35 წლამდე ასაკის პირებს.

კომიტეტმა დეტალურად განიხილა საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების წესის საკითხი. კონფერენცია გაიხსნება 29 ოქტომბერს საზეიმო სხდომით ალბერტ-ჰოლში. კონფერენციის პირველი სამუშაო სხდომა შესდგება 31 ოქტომბერს. ამ დღეს მოსმენილ იქნება ინგლისის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიის დელეგაციათა მოხსენებანი თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის ახალგაზრდობის ბრძოლის საკითხზე.

კონფერენციის ოფიციალურ ენებად ცნობილია ინგლისური, რუსული, ფრანგული, ჩინური და ესპანური.

მოსამზადებელმა კომიტეტმა აირჩია კომისია გამოფენის „მსოფლიოს ახალგაზრდობა თავისუფლებისა და მტკიცე მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში" მოსაწყობად. გამოფენა გაიხსნება კონფერენციის მუშაობის დღეებში.

ბერძენ ქალთა კავშირის მიმართვა

ათენი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). გონებრივი შრომის ბერძენ ქალთა კავშირმა ინგლისის დედოფალს, აგრეთვე ინგლისის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ჩინეთის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ცოლებს მიმართვა გაუგზავნა, რომლითაც ითხოვს დაეხმარონ მათ იხსნან საბერძნეთის საპყრობილეებში გამომწყვდეული 400 ქალი.

„პატიმარი ქალები — მუშები, სტუდენტები, მასწავლებლები, დიასახლისები და მოსწავლეებიც კი, — ნათქვამია მიმართვაში, — გმირულად იბრძოდნენ მოკავშირეთა საერთო საქმისა და თავიანთი სამშობლოს განთავისუფლებისათვის".

„ბერძენ ქალთა და საბერძნეთის მთელი დემოკრატი ხალხის სახელით, — ნათქვამია დასასრულ მიმართვაში, — გთხოვთ თქვენ და მოკავშირე ქვეყნების ყველა ქალს შეუერთოთ თქვენი ხმა საერთო პოლიტიკური ამნისტიის მოთხოვნას და ამით იხსნათ საბერძნეთის საუკეთესო ქალები სიკვდილისა და ბარბაროსული მოპყრობისაგან".

მდგომარეობა ინდო-ჩინეთში

სან-ფრანცისკო, 24 ოქტომბერი. (საკდესი). სან-ფრანცისკოს რადიოს ცნობაში ნათქვამია, რომ საფრანგეთისა და ინგლისის სარდლობამ საიგონში (ინდო-ჩინეთის მთავარი ქალაქი) ერთობლივი კომუნიკე გამოაქვეყნა საიგონის რაიონში საფრანგეთის მე-2 არმიის ნაწილთა გადასხდომის შესახებ. საიგონის ზოგიერთ რაიონში ანამიტელთა ჯარები კვლავ ებრძვიან ინგლისელ ჯარისკაცებს. მოკავშირეთა სარდლობამ არტილერია აამუშავა.

კუნძულ იავას ამბები

სან-ფრანცისკო, 23 ოქტომბერი. (საკდესი). სან-ფრანცისკოს რადიო გადმოგვცემს, რომ, ბატავიიდან (კუნძულ იავის მთავარი ქალაქი) მიღებული ცნობების თანახმად, იქ სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ ქალაქის ქუჩებს პატრულობენ მოკავშირეთა ჯარისკაცები. აჯანყება იავის შიგნით გრძელდება. აჯანყებულთა ხელმძღვანელებმა იავის მოსახლეობას მოწოდებით მიმართეს რადიოთი სურაბაიიდან, რომელიც მათს ხელში იმყოფება, შეუერთდნენ აჯანყებას. მათ აგრეთვე მოითხოვეს ბატავიაში მყოფ ჰოლანდიელ ხელისუფალთაგან, რათა მათ დაუყოვნებლივ დასტოვონ ქალაქი. სოიკარნომ განაცხადა, რომ მთელი იავა აჯანყებულთა ხელშია. აჯანყება სწრაფად ვრცელდება და გამოხმაურებას ჰპოულობს სუმატრაზე.

კვისლინგის სიკვდილით დასჯა

ოსლო, 24 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ნორვეგიის მეფემ ჰოკონმა უარჰყო კვისლინგის თხოვნა შეწყალების შესახებ. დღეს დილით კვისლინგი დახვრეტილ იქნა აკერსჰუსის საზღვაო ციხეში, ოსლოს მახლობლად.

მოლაპარაკების განახლება გომინდანსა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის

ჩუნცინი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს ცნობით, 21 ოქტომბერს განახლდა მოლაპარაკება გომინდანსა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ: ჯან ჯუნი, ვან ში-ძე, შაო ლი-ძი, ჯოუ ენ-ლაი და ვან ჟოფეი.

ინგლისის მუნიციპალური არჩევნების წინ

ლონდონი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). შვიდი წლის, ხოლო ბევრგან მეტი ხნის, მეწყვეტის შემდეგ ინგლისში, შოტლანდიასა და უელსში უნდა შესდგეს დაახლოებით 2 ათასი ადგილობრივი მუნიციპალური საბჭოს არჩევნები. 1 ნოემბერს შესდგება ლონდონის საგრაფოს და ინგლისისა და უელსის სხვა რაიონების რაიონულ მუნიციპალიტეტთა არჩევნები.

ჩვეულებრივ პირობებში დედაქალაქის რაიონებში მთელი მუნიციპალური საბჭო გადარჩეულ უნდა იქნას ყოველ სამ წელიწადში, გარდა საბჭოს წევრთა ერთი კატეგორიის — ოლდერმენებისა (რომელიც რამდენადმე მოგვაგონებს პარლამენტის ზედა პალატას). ოლდერმენთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი ყოველწლიურად გადადგება ხოლმე, მათ მაგივრად ირჩევენ ახლებს. პროვინციულ რაიონებში გადადგება მრჩეველთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი. მაგრამ ამჯერად ამ რაიონებში გადარჩეულ იქნება მრჩეველთა საერთო რიცხვის არა მარტო ერთი მესამედი, არამედ ის მრჩევლნიც, რომლებიც კოოპტირებული იყვნენ ომის დროს. რაც შეეხება საგრაფოთა მუნიციპალურ საბჭოებს, წესების თანახმად, მთელ მათ შემადგენლობას ხელახლა ირჩევენ ორი წლის შემდეგ. იგივე შეეხება ზოგიერთ სასოფლო მუნიციპალურ საბჭოს; სხვა სასოფლო საბჭოებში ყოველწლიურად გადადგება ხოლმე მრჩეველთა საერთო რიცხვის ერთი მესამედი, რომელთა ნაცვლად ირჩევენ ახლებს.

მუნიციპალურ არჩევნებში, ისევე როგორც საყოველთაო არჩევნებში, ძირითადი ბრძოლა მთელ ინგლისში იქნება ლეიბორისტულსა და კონსერვატიულ პარტიებს შორის. დღემდე კონსერვატორები გაბატონებული იყვნენ მუნიციპალურ საბჭოებში, გარდა ლონდონისა, სადაც ლეიბორისტებს უმეტესობა ჰყავთ ლონდონის საგრაფოს საბჭოში და 28-დან 17 რაიონულ მუნიციპალურ საბჭოში. 1.377 ადგილისათვის ბრძოლაში ლონდონის 28 რაიონულ საბჭოში ლეიბორისტულმა პარტიამ წამოაყენა 1.338 კანდიდატი, კონსერვატიულმა — 1,070 კანდიდატი, კომპარტიამ — 70, ხოლო ლიბერალურმა პარტიამ — 45.

ტრიესტის მოსახლეობის სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაცია

ბელგრადი, 24 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს რომ გასულ კვირას ტრიესტისა და მისი მიდამოების მშრომელებმა მოაწყეს გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა კაცმა. მუშებს მოსამსახურეებს, ახალგაზრდობას მიჰქონდათ იუგოსლავიის, სლოვენიისა და იტალიის ალმები და პლაკატები წარწერებით: „სლოვენები და იტალიელები ძმურად უწვდიან ხელს ერთმანეთს", „გაუმარჯოს ტრიესტს — ფედერატიული იუგოსლავიის ავტონომიურ ერთეულს".

შეკრებილნი მხურვალედ მიესალმნენ იუგოსლავიის სამხედრო მმართველობის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოთა მუშების, მეშახტეებისა და მშენებლების ჯგუფს.

თბილისი. კინო-თეატრ რუსთაველისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხედი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საოქტომბრო საკოლმეურნეო ბაზრობა

პირველი დღე

გუშინ თბილისში დაიწყო საოქტომბრო საკოლმეურნეო ბაზრობა, რომელიც გასტანს 5 ნოემბრამდე.

პირველ დღესვე სტალინის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში შესამჩნევი გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების დაკლება. ბაზრობაზე ორგანიზებულად მოვიდა მცხეთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა. მან შემოზიდა ლობიო, ხახვი, ღვინო, ხორცი. კოლმეურნეობა კილოგრამ ლობიოს ჰყიდის 15 მანეთად, ხახვს — 8 მანეთად, ძროხის ხორცს — 50 მანეთად.

სოფელ მუხრანის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ ბაზარზე მოიტანა 2.700 კილოგრამი კომბოსტო, 370 კილოგრამი ლობიო, 205 კილოგრამი ხახვი, 200 კილოგრამი ბოლოკი, 50 კილოგრამი ღორის ხორცი. კომბოსტო კილოგრამი იყიდება 6 მანეთად, ბოლოკი — 5 მანეთად, ხახვი—8 მანეთად, ღორის ხორცი — 80 მანეთად, პამიდორი — 8 მანეთად.

ვერის საკოლმეურნეო ბაზარზე ორგანიზებულად მოვიდნენ მცხეთისა და თბილისის რაიონების კოლმეურნეობები. მათ შემოზიდეს 4 ტონა კომბოსტო (კილოგრამი 4 მანეთად გაჰყიდეს), 405 კილოგრამი ხორცი, 600 კილოგრამი ჰარხალი, 2 ტონაზე მეტი პამიდორი, 720 კილოგრამი ყურძენი, სტაფილო და მრავალი სხვა პროდუქტი. კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ გასასყიდად შემოიტანა ერთი ტონა ხახვი.

ფასებმა ვერის ბაზარშიც დაიკლო.

უნივერმაღმა და თბილვაჭრობამ საკოლმეურნეო ბაზრობის მონაწილეებს მოუწყეს შემხვედრი ვაჭრობა. უნივერმაღის სავაჭრო წერტი ბაზრობის მონაწილე კოლმეურნეებს მიჰყიდის 200 ათასი მანეთის სამრეწველო საქონელს: ქალის პალტოებს, ჩულქებს, ქუდებს, კაბებს, შარვლებს, ქსოვილებს.

ბაზარში მოწყობილია საქონლის მიმღები და განმანაწილებელი პუნქტი მუშაობს საჩაიე, არის რადიო.

კიროვის რაიონის გადახურულ ბაზარზე გუშინ კოლმეურნეებმა დიდძალი პროდუქტი შემოიტანეს. მარტო ყარაიას რაიონის სოფელ ნაზარნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ შემოზიდა 2 ტონა კარტოფილი, 10 ტონა კომბოსტო, 800 კილოგრამი ხორცი, ბადრიჯანი, გოგრა, სუფრის ჭარხალი და სხვა პროდუქტები.

თუ ბაზრობის დაწყებამდე საქონლის ხორცი კილოგრამი 100 მანეთად იყიდებოდა, ახლა 60 მანეთი ღირს. ცხვრის ხორცი იყიდება კილოგრამი 70 მანეთად, კარტოფილი — 6 მანეთად.

დამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი შემხვედრი ვაჭრობა. ბაზრობისათვის ეტყობა კარგად მოემზადა „თბილვაჭრობა" მას 100.000 მანეთის სამრეწველო საქონელი გამოაქვს. ბაზარი მომარაგებულია ინვენტარით. მოწყობილია სამკითხველო, ღამის გასათევი და პროდუქტების შესანახი საწყობები

ამავე რაიონის მეორე საკოლმეურნეო ბაზრის ადმინისტრაცია მოუმზადებელი შეხვდა ბაზრობის დაწყებას. მას საკმაო რაოდენობით არ მოუმარაგებია ინვენტარი, არც მომსახურე პერსონალია თავის ადგილზე კოლმეურნეები ხშირად ექიმის შეუმოწმებლად ყიდიან პროდუქტებს. შემხვედრი ვაჭრობა ბაზარზე ვერ არის სათანადოდ გაშლილი.

ახალ ორთქლმავალ „გამარჯვების" გამოცდა

მოსკოვის მახლობელ ერთ-ერთ რკინიგზის მაგისტრალზე დაიწყო კოლომნის ქარხნის მიერ აგებულ ორთქლმავალ „გამარჯვების" გამოცდა. საცდელი რეისების დროს, რომლებსაც თვალყურს ადევნებენ ორთქლმავალმშენებლობის გამოჩენილი სპეციალისტები, დადგენილი იქნება ახალი ლოკომოტივის საექსპლოატაციო თვისებანი.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გზათა სახალხო კომისარიატის საორთქლმავლო მეურნეობის ცენტრალური სამმართველოს ლოკომოტივების საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსმა ამხ. ტ. ი. გრინმა განაცხადა:

— ორთქლმავალი „გამარჯვება" ტრანსპორტისა და მრეწველობის სპეციალისტთა დიდი ჯგუფის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფია. პროექტის შექმნისას კონსტრუქტორებს. მოძრაობისა და სალიანდაგო დარგის მუშაკებს მოუხდათ ურთულესი ამოცანის გადაჭრა: ისეთი ლოკომოტივის აგება, რომელიც სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენი ქვეყნის სარკინიგზო მეურნეობის თანამედროვე მოთხოვნებს. ლოკომოტივი „გამარჯვება" „ყველგანმავალია". ღერძის შედარებით მცირე დატვირთვა საშუალებას აძლევს მას ისეთ რკინიგზებზეც კი იმოძრაოს, რომლებზეც ლიანდაგის ზედანაგებობა შედარებით სუსტია, და თანაბარ პირობებში 100-200 ტონით მეტი ტვირთი წაიღოს, ვიდრე „სო" ორთქლმავალმა. აღმართებზე მას შეუძლია თითქმის იმავე სისწრაფით იაროს, როგორც „ფდ" სერიის მძლავრ ორთქლმავალს.

ამ ორთქლმავლის აგებისას გამოყენებულ იქნა მთელი რიგი სიახლენი. ლოკომოტივს ფოლადის სხმული ძელური ჩარჩო და ფოლადის ცილინდრები აქვს. ქვაბი მთლიანად შედუღებულია. მის ორთქლგამხურებელ ორთქლის ტემპერატურა აჰყავს 400 გრადუსამდე ცელსიუსით. მთელი რიგი სხვა კონსტრუქციული თავისებურებანი საიმედოს ხდიან ორთქლმავლის მუშაობას და ზრდიან მის ეკონომიურობას. ლოკომოტივის დეტალებისა და კვანძების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება შეცვლილ იქნას სხვა ორთქლმავლების დეტალებით. ორთქლმავალ „გამარჯვებაზე" დადგმულია სტოკერი—გაუმჯობესებული კონსტრუქციის მექანიკური ბრძმედი, სერვომოტორი სვლის შესაცვლელად და უახლესი ხელსაწყობები.

ტრანსპორტისა და მრეწველობის კონსტრუქტორები მჭიდრო თანამეგობრობით მუშაობდნენ. ერთობლივ ღონისძიებათა მეოხებით გადალახულ იქნა ბევრი სიძნელე.

ამ დღეებში კოლომნის ქარხანა ხაზზე გამოუშვებს ამავე კონსტრუქციის მეორე ორთქლმავალს. (საკდესი).

პიონერი № 7

გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი „პიონერი" № 7.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: გიორგი შატბერაშვილი — კალოობა (ლექსი), გერონტი ქიქოძე — ვაჟა-ფშაველა (წერილი), ვაჟა-ფშაველა — ია (მოთხრობა), მარიკა მიქელაძე — თეთრი სახლი (საბავშვო პოემა), როდიონ ქორქია — ნეპტუნას მონათვლა (მოთხრობა), ოთარ ჩხეიძე — გოჩა (მოთხრობა), მ. სურგულაძე — როგორ გაჩნდნენ ყაყაჩოები (ლექსი), ნიკოლოზ კანდელაკი — გიორგი საავაძე (წერილი), ბავშვთა შემოქმედება (ნინელი ჯაშის, ავთანდილ სვანის, ალექსანდრე სამსონიას და თამაზ ებანოიძის ლექსები; ნახატები — ავთანდილ გაჩეჩილაძისა — „მეფე ერეკლესა და კოტე ბელადის შერკინება", გოგი თოთიბაძისა — „საირმის ხედი"), მზია ერისთავი — ლაშქრობის ერთი თვე (ნარკვევი), გიორგი ლომთათიძე — ქართული კულტურის ძველი კერა (წერილი), შ. სიმონელი — დრო და კალენდარი (წერილი ასტრონომიულ საკითხებზე), შ. გვინჩიძე — მითოლოგიის ლექსიკონი.

ჟურნალში არის აგრეთვე გასართობი, გამოცანები და ხუმრობანი, შედგენილი ალ. საჩინოვის მიერ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების ა. გიგოლაშვილის, მ. დაუშვილის, ს. მასაშვილის, და ნ. სურსკაიას მიერ.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, აგიტატორებისათვის შესდგება დოცენტ **დოლიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა საარჩევნო სისტემა — ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემაა მსოფლიოში".**

26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, რაიკომებისა და საწარმოთა პარტკაბინეტების გამგეებისათვის შესდგება მორიგი სემინარი თემაზე: **ახსნის ლენინური თეორია ლენინის წიგნის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" მიხედვით.**

სემინარს ჩაატარებს დოცენტი **ლ. გორგილაძე.**

26 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ლექტორების, მომხსენებლებისა და მიმდინარე პოლიტიკის წრეების პროპაგანდისტებისათვის შესდგება ამხ. პავინსკის კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"** (თხუთმეტი დღის მიმოხილვა).

27 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ძირეული პრესის მუშაკებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: **„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორი პალატა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაა".**

სემინარს ჩაატარებენ დოცენტი **ფურცხვანიძე** (ქართულ ენაზე), დოცენტი **მრევლიშვილი** (რუსულ ენაზე).

სემინარი

26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს სემინარს ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: **„საბჭოთა სახელმწიფოს საარჩევნო სისტემა".**

სემინარს ჩაატარებენ დოცენტი **სიმონგულოვი** (ქართულ ენაზე), ამხ. **ნოლიანიხი** (რუსულ ენაზე).

თეატრებში

სახელმწიფო ოპერა — 26/X — „პიკის ქალი". 27/X — „ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის** — 26/X — „ოტელო". 27/X — „ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის** — 26/X — „უმზითვო". 27/X — „ბაგრატიონი". **გრიბოედოვის სახელობის** — 26/X — „ასეც იქნება". 27/X — „კრეჩინსკის ქორწინება". **მუსიკალური კომედიის** — 26/X—„ხაჯარათი".

კინოებში

26 ოქტომბერს: **რუსთაველის სახელობის** — „პირველი მეზობლები". **ოქტომბერი** — „მისი მსახურის და". **დამკვრელი:** (საზაფხულო) — „მისი მსახურის და" (ზამთრის) — „პირველი მეზობლები". **სპარტაკი** — „დათვი" და „ნილაბი".

მოეუპყრობლად ავტომანქანებს

ჭიათურა („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჭიათურის მარგანეცის ტრესტს დიდი საავტომობილო პარკი აქვს. მსუბუქი და სატვირთო მანქანების რაოდენობა ამჟამად 106-ს აღწევს.

ტრესტს აქვს გარაჟი, რომელიც მხოლოდ 30 მანქანას იტევს. საჭიროა ახალი გარაჟის აგება. საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დადგენილებაც გამოიტანა გარაჟის აგების შესახებ, მაგრამ მისი შესრულებისათვის ჯერ არაფერი გაკეთებულა. ტრესტის შვიდი ახალი მანქანა სამი თვეა ცისქვეშ დგას. გარაჟში სივიწროვის გამო ძნელი ხდება ტექნიკური და სახანძრო წესების დაცვა.

უკანასკნელად ტრესტის ხელმძღვანელობამ გადასწყვიტა ავტომანქანების დასაყენებლად ეკლიანი მავთული შემოავლოს განსაზღვრულ ტერიტორიას. გამოდის, რომ შემოდგომისა და ზამთრის სუსხიან ამინდში ავტომანქანები ცისქვეშ იქნებიან. ეს, გარდა იმისა, რომ გააფუჭებს მანქანებს, აძნელებს მძღოლთა მუშაობასაც.

სახელმწიფო ქონებას უნდა გაუფრთხილდეთ. ავტომანქანების ცისქვეშ დაყენება დანაშაულია. ვფიქრობთ, ტრესტის ხელმძღვანელობა ამას გაითვალისწინებს და საჭირო ღონისძიებებს განახორციელებს.

პ. ჭიღაკაძე

ს. ნ. ბელოუსოვი

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 21 ოქტომბერს გარდაიცვალა საქართველოს შამპანური ღვინოების კომბინატის მთავარი სპეციალისტი სერგი ნიკოლოზის-ძე ბელოუსოვი.

ს. ნ. ბელოუსოვის სახით საქართველოს შამპანურის წარმოებამ დაჰკარგა გამოჩენილი სპეციალისტი, ხოლო კომბინატის მუშაკთა კოლექტივმა — თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი.

ს. ნ. ბელოუსოვი დაიბადა 1900 წელს ქალაქ ზესტაფონში, რკინიგზელის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ზესტაფონში, ხოლო უმაღლესი ლენინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 9 წლის განმავლობაში ის მუშაობდა ვარციხის საბჭოთა მეურნეობაში შამპანური ღვინოების სპეციალისტად.

1936 წელს ის მივლინებულ იქნა საფრანგეთში, საზღვარგარეთ შამპანურის წარმოების ტექნიკის გასაცნობად.

ს. ნ. ბელოუსოვი მუშაობდა შამპანური ღვინის კომბინატში მისი ორგანიზაციის დღიდანვე, ახორციელებდა პარტიისა და მთავრობის დავალებას ფართო საწარმოო მასშტაბით მშობლიური შამპანურის წარმოების შექმნისათვის. თავისი მრავალი წლის მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას ის მთლიანად ახმარდა საქართველოში ხარისხოვანი მეღვინეობის განვითარების საქმეს ამავე დროს ზრდიდა სპეციალისტთა ახალგაზრდა კადრებს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ამხ. ბელოუსოვის დამსახურებას და 1941 წელს დააჯილდოვა იგი „საპატიო ნიშნის" ორდენით.

დიდი სამამულო ომის ძნელ პირობებში ამხ. ბელოუსოვი დაძაბული მუშაობით უზრუნველჰყოფდა გეგმების შესრულებას, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა მედლით „კავკასიის დაცვისათვის".

ს. ნ. ბელოუსოვის ხსოვნა მრავალი წლის განმავლობაში იცოცხლებს ჩვენს გულში.

ვ. მ. ბაქრაძე, ს. გ. ხოშტარია, ზ. ნ. კეცხოველი, ს. ე. არობელიძე, კ. ი. ბარიგიანი, ნ. ნ. კეცხოველი, კ. ვ. მოდებაძე, ნ. მ. ელენტი, პ. ბ. აზარაშვილი, ი. პ. მეგრელიძე, ა. კ. ლამბაშიძე, გ. კ. ახათიანი, დემეტრაძე, ხანაძე, გალუსტოვი, წერეთელი, ვაშალომიძე, კილოსანიძე, თაყაიშვილი, ხუციშვილი, გაპაჯიანი, მიხაბიშვილი, ჩაჩიძე, კიკნაძე, მენაბდე, თორიაშვილი, ლეკვეიშვილი, დათუაშვილი, ჭილიძე, საყვარელიძე, მ. ს. ახათიანი, ორჯონიკიძე, თურმანიძე, კაპანაძე, ჩხიკვაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, დღის 12 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს „კომუნისტის" კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.

„კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება თათბირზე სავალდებულოა.

მოქალაქე **მაკარ ლუკას-ძე კოპალეიშვილმა,** მცხოვრებმა სამტრედიაში, ვორონცოვის ქ. № 4, აღძრა საქმე ქ. თბილისში, ბრძოლის ქ. № 83 მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ბაგრატის-ასულ კოპალეიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

მოქალაქე **ალექსანდრე სარდიონის-ძე ჯიხვარაძემ,** მცხოვრებმა ჰეროვსკაიას ქ. № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ელენე ილიას ასულ ჩხაიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლოში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, ხტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 07380